# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 14 იანვარი, 2014 წელი.

№7 (7388)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


## ასე მხეციც არ მოიქცეოდა!



4

**ვანო მერაბიშვილსა და დათა ახალაიას, შესაძლოა, ბრალი დაუმძიმდეთ**

## წლეულს ხელისუფლებას ბევრ მნიშვნელოვან კითხვაზე მოუწევს პასუხის გაცემა... 3

## მოსკოვთან ურთიერთობის მოწესრიგებაში თბილისი გერმანიის დახმარებას ეძებს 8

## შარშანდლიდან გადმოყოლილი პრობლემები 9

## ანა ნეისტატი: „მნიშვნელოვანია იმის გაგება, რომ ეს არ იყო ოსი ხალხის გენოციდი“...

6-7



## 2 თუ ყველამ გაიგო, რაღა საიდუმლო იქნება?

„საიდუმლო“ უთანხმოება პრემიერსა და მინისტრებს შორის

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

# პატრიარქი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებით დაინტერესებულ პირებს შეხვდა



**შეხვედრას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უძღვებოდა. პატრიარქმა უცხოეთში სხვადასხვა დროს ვიზიტებისას ნანახი საწარმოების შესახებ ისაუბრა, რომელთა მფლობელებმაც ბიზნესის განვითარება მცირე თანხებით დაიწყეს.** კერძოდ, ეს იყო რძის, მეფრინველეობის და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მწარმოებელი საწარმოები. უწმინდესმა მაგალითების მოყვანის შემდეგ აღნიშნა, რომ მსგავსი საწარმოების გაკეთება საქართველოშიც შეიძლება. მთავარია, სიღარიბესა და უმუშევრობას არ შეურიგდნენ.

**— მინდა ვიფიქროთ ჩვენს მომავალზე, სულიერ და მატერიალურ მომავალზე. ძალიან ხშირად გვესმის, რომ „მე წავალ უცხოეთში, იქ ვიმუშავებ, აქ სამუშაო ადგილები არ არის". მინდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ შეჩვეული ვართ უსაქმურობას, ადამიანი ეჩვევა უსაქმურობას, სიღარიბესაც. აფრიკის ერთ-ერთ ქვეყანაში ვიყავით და იქ მოსავალი მოდის, ერთი ხე არის, როგორც კარტოფილი მიწაში ისხამს ნაყოფს, იმას აგროვებენ და მთელი წელიწადი შემდეგ არაფერს აკეთებენ. აი მათ მსგავსად ჩვენც არაფერს არ ვაკეთებთ. ბრძენმა ხალხმა იცოდა, დედაჩემი სულ გვაფრთხილებდა ბავშვებს, არ შეეჩვიოთ სიღარიბესო. სიღარიბემ შეჩვევა იცის. იმ დროს როდესაც შიმშილი იყო საბჭოთა კავშირში, რუსეთიდან ჩამოდიოდა მშიერი ხალხი. ბევრ ქართულ ოჯახს საჭმელ-სასმელი ჰქონდათ. მე მახსოვს ჩვენს ოჯახს ჰქონდა ძალიან ბევრი კარტოფილი, ღორის „სალა", მწნილი, კიტრი, პომიდორი, კომბოსტო, არაფერი არ უჭირდა ოჯახს. თუ ადამიანი გონივრულად ხელმძღვანელობს ოჯახს, არაფერი არ უჭირს,** — აღნიშნა კათოლიკოს-პატრიარქმა.

შეხვედრის მონაწილეებს პატრიარქმა ასევე მიმართა, ჰქონდა თუ არა რომელიმე მათგანს საკუთარი მცირე ბიზნესი და რაიმე გამოცდილება ამ მხრივ. რამდენიმე გამომსვლელმა სოფლებში მიწის ნაკვეთის დამტკიცების, ასევე ბანკებიდან 10 000 ლარამდე სესხების მიღებისა და გადამამუშავებელი საწარმოების შესაქმნელად პრობლემების შესახებ ისაუბრა. კერძოდ, შეხვედრაზე ითქვა, რომ საქართველოს ბაზარი უცხოური დაკონსერვებული და სხვა სახის პროდუქციითაა გაჯერებული, რაც ადგილობრივი პროდუქციის გასაღებას აფერხებს.

მსგავსი ტიპის შეხვედრები პერიოდულად გაიმართება და მცირე ბიზნესის დაწყების მსურველებს შესაძლებლობა ექნებათ გამოცდილ ბიზნესმენებს შეხვდნენ, რათა გაარკვიონ თუ როგორ დაიწყეს მათ საკუთარი ბიზნესის წარმოება.

**— თქვე უნდა შვათ ახალი იდეები, მე გუშინ ქადაგებისას ვთქვი, ვილოცოთ, ვიფიქროთ, ვშვათ ახალი იდეები და ვიშრომოთ, პირველი არის ლოცვა, მერე - ფიქრია, ფიქრისგან ახალი იდეები იბადება, შემდეგ არის შრომა,** — აღნიშნა პატრიარქმა.

# ხუთი მილიონი სარეზერვო ფონდიდან

**ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს და მთავრობის კანცელარიას მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხა გამოეყოთ.**

როგორც ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განმარტა, ევროატლანტიკურ სტრუქტრებში ინტეგრაციის პროცესის შეუფერხებელი წარმართვის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო მინისტრის აპარატს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 3 მილიონი ლარი გამოეყო.

სარეზერვო ფინდიდან 2 მილიონ 100 ათას ლარს მიიღებს მთავრობის კანცელარია. ფინანსთა მინისტრის ინფორმაციით, კანცელარიას სახსრები საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვისთვის გამოეყო.

განკარგულების პროექტები ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და მთავრობის კანცელარიისთვის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ საქართველოს მთავრობამ 10 იანვრის სხდომაზე დაამტკიცა.

◎ მთავრობა

# თუ ყველამ გაიგო, რაღა საიდუმლო იქნება?

## „საიდუმლო" უთანხმოება პრემიერსა და მინისტრებს შორის

**საგადასახადო საიდუმლოებასთან დაკავშირებულმა საკანონმდებლო ინიციატივამ ახალი პრემიერი მოთმინებიდან გამოიყვანა და ნადღესასწაულებ მინისტრებს წკეპლა მოუმარჯვა. რამდენად შეიცვლება პარლამენტში შეტანილი პროექტი, მალე გაირკვევა, თუმცა მისი ერთ-ერთი ინიციატორი მინისტრი, პრემიერის შენიშვნის მიუხედავად, ძველ პოზიციაზეა.**

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ პარლამენტს საგადასახადო საიდუმლოებასთან დაკავშირებული მუხლის (საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლი) შეცვლის ინიციატივით უკვე მიმართა. სუბიექტთა წრე, რომელსაც შეიძლება საგადასახადო საიდუმლოებაზე ხელი მიუწვდებოდეს, ამჟამად მოქმედი საგადასახდო კანონმდებლობით, შეზღუდულია. პარლამენტში ინიცირებული პროექტის მიხედვით, ეს წრე ფართოვდება და საგადასახადო საიდუმლოებასთან დაკავშირებული მუხლი მთლიანად ახალი რედაქციით ყალიბდება.



კანონპროექტის თანახმად, საგადასახდო ორგანოს უფლება ეძლევა, გადასახადის გადამხდელის შესახებ საგადასახადო საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია სასამართლოს გადაწყვეტილების ან გადასახადის გადამხდელის თანხმობის გარეშე გადასცეს მთავრობას, ყველა სამინისტროს, სამართალდამცავ ორგანოს, სახალხო დამცველს და სხვა, კანონით დადგენილ სუბიექტებს, რაც, პროექტის მიხედვით, „კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელებისთვის" შეიძლება მოხდეს.

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს სწორედ ეს არ მოეწონა და მინისტრები საკმაოდ დატუქსა. მისი აზრით, უწყებას, რომელსაც სჭირდება ინფორმაცია, იგი ფინანსთა სამინისტრომ უნდა მიაწოდოს.

**„ვისაც სჭირდება, მიაწოდეთ ინფორმაცია და თუ არ სჭირდება, რატომ უნდა გასცეთ? ერთმანეთს შეუთანხმდით ხოლმე და მერე გააკეთეთ კანონპროექტის ინიცირება, ვისაც არ ეზარება, კანონპროექტის ცვლის",** — აღნიშნა ღარიბაშვილმა.

ბიზნეს-ასოციაციის წარმომადგენელი ამ საკითხზე პრემიერ-მინისტრის პოზიციას იზიარებს და მიიჩნევს, რომ მეწარმე სუბიექტის შესახებ ინფორმაციაზე შემოსავლების სამსახურის და ფინანსთა სამინისტროს წვდომა საკმარისია.

**„რაც უფრო ნაკლებ ადამიანს მიუწვდება ხელი ბიზნესინფორმაციაზე, მით უკეთესია ბიზნესისთვის და თავს უფრო მშვიდად იგრძნობს. უნდა დაკონკრეტდეს შემთხვევები, როდესაც სამთავრობო უწყებებს ბიზნესის კონფიდენციალურ თუ კომპანიებთან დაკავშირებულ სხვა ინფორმაციაზე წვდომის უფლება ექნებათ, რათა ვინმემ არაკეთილსინდისიერად არ გამოიყენოს ეს ინფორმაცია",** — აცხადებს ბიზნეს-ასოციაციის საბაჟო-საგადასახადო კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ ლალაზაშვილი.

სამაგიეროდ, ძველ პოზიციაზეა ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური, რომლის შეფასებითაც, კანონმდებლობაში საგადასახადო საიდუმლოებასთან დაკავშირებით ინიცირებული ცვლილებები სწორი და ლოგიკური ინიციატივაა. მისი თქმით, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტი ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით მოამზადა და, შესაბამისად, ორ უწყებას შორის კოორდინაცია არსებობდა.

**„სახალხო დამცველის შესახებ ორგანულ კანონის მე-20 მუხლში პირდაპირ წერია, რომ სახალხო დამცველს უფლება აქვს, მოითხოვოს სხვადასხვა ტიპის ინფორმაცია, მათ შორის, კომერციული საიდუმლოება კანონით განსაზღვრული წესით. ჩვენ ამ შემთხვევაში საგადასახადო კანონმდებლობას ორგანულ კანონს ვუსადაგებთ.**

**რაც შეეხება აღნიშნული უფლების სამინისტროებისთვის მინიჭებას. მაგალითად, დღევანდელ სხდომაზე მთავრობამ განიხილა 8 საგადასახადო შეთანხმება და მთავრობას რომ არ ჰქონდეს საგადასახადო ინფორმაციის მიღების უფლება, საგადასახადო შეთანხმებას ვერ გააფორმებს. ბევრ უწყებას სჭირდება ანალოგიური ინფორმაცია, ზოგს აქვს წვდომა, ზოგს — არა.**

**მაგალითად, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ, რომელსაც აქვს გარკვეული პროგრამები, უნდა იცოდეს, კონკრეტულ ბენეფიციარს და დახმარების მიმღებს რეალურად სჭირდება თუ არა ეს დახმარება და დგას თუ არა დახმარების მიღების აუცილებლობის წინაშე. შესაბამისი, ბაზა შემოსავლების სამსახურს აქვს და მან კანონით დადგენილი წესით უნდა გადასცეს უწყებას აღნიშნული ინფორმაცია. ამასთან, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საგადასახადო ინფორმაციის მიმღებმა უწყებამ მიღებული ინფორმაცია უნდა გაასაჯაროოს",** — აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბრისას ნოდარ ხადურმა.

საგადასახადო საიდუმლოებასთან დაკავშირებით „საგადასახადო კოდექსში" დაგეგმილ ცვლილებებს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით ონოფრიშვილი ჯერ არ გაცნობია. ამ მოტივაციით დეპუტატმა პროექტის შეფასებისგან დღეს თავი შეიკავა.

„აღნიშნულ კანონპროექტზე მუშაობა მე ჯერ არ დამიწყია. როდესაც პარლამენტში ვიქნები, ამ საკითხზე გავაკეთებ კომენტარს. ახლა საკითხი შესწავლილი არ მაქვს. როცა პროექტი ჩემს მაგიდაზე იქნება, წავიკითხავ, გავეცნობი და პასუხებსაც გაგცემთ", — განუცხადა ჟურნალისტებს დავით ონოფრიშვილმა.

ექსპერტი გიორგი აბაშიშვილი ერთმნიშვნელოვნად იზიარებს პრემიერის პოზიციას. მისი აზრით, რაც უფრო ფართო იქნება იმ პირთა წრე, ვისაც წვდომა ექნება საიდუმლო ინფორმაციაზე, მით უფრო გაიზრდება ამ ინფორმაციის გავრცელების რისკი და, მათ შორის, უკანონო მიზნებისთვისაც.

**„შესაძლოა, კომპანიას ჰქონდეს დავალიანება სახელმწიფოს წინაშე, თუმცა არსებობდეს რაღაც გრაფიკი აღნიშნული დავალიანების დაფარვის და ასე შემდეგ... იმისათვის, რომ, მაგალითად, ჩემ შესახებ არ აგორდეს ნეგატიური კამპანია და მე კლიენტები არ დავკარგო, სულაც არ მსურს, რომ ეს ინფორმაცია ფართოდ გახმაურდეს... ასევე, ვთქვათ, რა ტიპის კლიენტებთან მაქვს ურთიერთობა (როგორც მომწოდებლებთან, ასევე მომხმარებლებთან) არ მსურს, რომ ამის შესახებ იყოს ინფორმაცია ფართოდ ცნობილი. ნამდვილად არ მინდა, რომ ეს ჩემმა კონკურენტებმა იცოდნენ",** — აღნიშნა გიორგი აბაშიშვილმა.

ეკა ბაქრაძე

◎ ინფორმაცია

# ლარის კურსი სტაბილურია



**ლარის კურსი დასტაბილურდა და ბოლო დღეების განმავლობაში, დოლარის კურსის შემცირების ტენდენციაც შეინიშნება, — ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განაცხადა.**

**ხადურის თქმით, ეროვნული ბანკი ლარის კურსის სტაბილურობის მიმართულებით გარკვეულ ღონისძიებებს ატარებს.**

**— ვფიქრობ, პროცესი დასტაბილურდება და არანაირ გართულებას ადგილი არ ექნება. ეს კურსი არის ახალი წონასწორული კურსი და ეკონომიკური პროცესები ამით არათუ არ შეფერხდება, პირიქით, შესაძლოა, დაჩქარდეს კიდეც, — განაცხადა ხადურმა.**

ინტერპრესი

№7. სამშაბათი, 14 იანვარი, 2014 წელი.

**რას უნდა ველოდოთ?**

# წლეულს ხელისუფლებას ბევრ მნიშვნელოვან კითხვაზე მოუწევს პასუხის გაცემა...



**წელს საქართველოში ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი იფეთქებს, სოციალური პრობლემები კიდევ უფრო მწვავედ დადგება, — განუცხადა for.ge-ს საარჩევნო პოლიტტექნოლოგიების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელმა კახი კახიშვილმა. პოლიტოლოგი ამბობს, რომ ხელისუფლების მიმართ ბევრი კითხვა გაჩნდება და მას ამ კითხვებზე პასუხის გაცემა მოუწევს. ექსპერტი მიიჩნევს, რომ მმართველი გუნდი თავს იმით ვეღარ გაიმართლებს, რომ ქვეყანაში ორხელისუფლებიანობაა და დაპირებები ამიტომ ვერ სრულდება.**

კახიშვილის განცხადებით, ქვეყნის წინაშე სერიოზული გამოწვევა კვლავ არჩევნები იქნება და მას საარჩევნო კოდექსში მნიშვნელოვანი რეგულაციების ცვლილებები მოუწევს.

კახიშვილი „ოცნების“ შიგნით გარკვეულ დაპირისპირებასაც ელოდება, თუმცა თვლის, რომ საზოგადოებითვის ეს ხილული არ გახდება. პოლიტოლოგი დაპირისპირებას “ნაციონალურ მოძრაობაშიც“ ელოდება.

**— რა პოლიტიკურ პროცესებს ელოდებით 2014 წელს საქართველოში? რით იქნება ეს წელი გამორჩეული?**

— 2014 წელი ძალიან მნიშვნელოვანი წელი იქნება, ვინაიდან გასულმა წელმა ჩაყლაპა ბევრი პრობლემა. ხელისუფლებამ სამართლიანობის აღდგენის საკითხის ერთი წლით გადაწევა კოაბიტაციისა და სხვა პრობლემების გამო თავის მართლებით შეძლო.

ქვეყანაში სოციალური პრობლემებიც მწვავედ დგას, რაც მოსახლეობაში ქვეყნის ხელისუფლებისადმი ბევრ კითხვის ნიშანს გააჩენს, თუ აქამდე მმართველი გუნდი ამ კითხვებზე პასუხის გაცემას ახერხებდა, რომ ორხელისუფლებიანობაა და თავს იმართლებდა, თითქოს დაპირებებს ამის გამო ვერ ასრულებდა, ახლა ამ კითხვებზე პასუხის გაცემა მოუწევს. ასეთი კითხვა ბევრი იქნება დაწყებული სოციალური პრობლემებიდან და დამთავრებული სამართლიანობის აღდგენამდე, ასევე ძალიან აქტუალური იქნება ბიზნესების დაბრუნების, კომპენსაციის და სხვა საკითხები.

გველოდება თვითმმართველობის არჩევნები, რომელიც ნებისმიერ სხვა არჩევნებზე რთულია. ამიტომაც ეს არჩევნები ხელისუფლებისათვის სერიოზული ტესტი იქნება. ველოდები, რომ ხელისუფლება არჩევნებს ღირსეულად ჩაატარებს. ყოველ შემთხვევაში, ამის დიდი იმედი მაქვს. საარჩევნო კოდექსი „ნაცმოძრაობის“ მიერ აწყობილი სისტემის მიხედვით მხოლოდ ხელისუფლებაზეა მორგებული. გარდა ამისა, ეუთოს რეკომენდაციის მიხედვით კოდექსში ცვლილებები ერთი წლით ადრე უნდა იყოს შეტანილი, მაგრამ ცვლილებების შეტანა არჩევნებამდე 4-5 თვით ადრე მოგვიწევს. ეს, რა თქმა უნდა, გარკვეულწილად ვითარებას დაძაბავს, რა თქმა უნდა, არასაპრალამენტო ოპოზიცია გააქტიურდება. თბილისისა და სხვა ქალაქების მერობისთვის ბრძოლა სერიოზულ სახეს მიიღებს. ხელისუფლებას ძალიან ბევრი საკითხის გადაწყვეტა მოუწევს.

**— თქვენი აზრით, როგორ გადანაწილდება ძალთა თანაფარდობა?**

— არჩევნების შედეგების თქმა ძნელია, ჯერ კიდევ არ არის გარკვეული, როგორ მიიღებს არჩევნებში არასაპარლამენტო ოპოზიცია მონაწილეობას, ვინ იბრძოლებს თბილისის მერობისთვის, ასევე სხვა თვითმმართველ ქალაქში, სადაც მერი იქნება არჩეული. ჯერჯერობით შედეგებზე რაიმე კონკრეტულის თქმა გამიჭირდება. ფაქტია, რომ ხელისუფლებას კოდექსში ბევრი რეგულაციის ცვლილების შეტანა მოუწევს. როგორც მინიმუმ მერის არჩევისთვის 30 %-იანი ბარიერის საკითხის გადახედვა მოუწევს, ამას ხელისუფლება თავად აკრიტიკებდა, როდესაც ოპოზიციაში იყო. ასევე საარჩევნო სიებისა და ადმინისტრაციისა და სხვა საკითხების მოგვარებაც მოუწევს.

**— თვითმმართველობის არჩევნებისთვის კოალიციაში გარკვეულ დაპირისპირებას ან ვითარების დაძაბვასაც ხომ არ ელოდებით?**

— შესაძლოა, ეს ხილულად ვერ ვნახოთ, რომ კოალიციაში შემავალი სუბიექტები ერთმანეთს უპირისპირდებიან, მაგრამ ფაქტია, რომ „ოცნებაში“ ვიღაცვიღაცებს საკუთარი თავის წამოწევა მოუნდებათ. მიმაჩნია, რომ თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ უფრო იქნება ერთმანეთთან ოპონირების რეჟიმი.

პრემიერ-მინისტრს არჩევნების შემდეგ მთავრობის გადახალისებაც მოუწევს.

**— ვის გულისხმობთ?**

— კონკრეტულად არავის ვგულისხმობ, მაგრამ ყველა სამინისტროს უკეთესად მუშაობა შეეძლო. გარდა ამისა, ხელისუფლების პირველი ნაბიჯები მანქანებისა და სხვადასხვა ტექნიკის ყიდვის ტენდენცია ძალიან აღიზიანებს ხალხს და იმედი მაქვს, რომ ასეთი ტიპის არც მინისტრები და არც სხვა თანამდებობის პირები აღარ გვეყოლება.

**— ცვლილებები, ალბათ, „ნაციონალურ მოძრაობაშიც“ მოხდება...**

— „ნაცმოძრაობაშიც“ აშკარაა შიდა დაძაბულობა, არის სერიოზული აზრთა სხვადასხვაობა. განსაკუთრებულად საკამათო საკითხია, თუ ვინ უნდა იყოს თბილისის მერობის კანდიდატი. მათი მთავარი მიზანია, რომ მეორე ადგილი მაინც აიღონ არჩევნებზე. ისიც ფაქტია, რომ სტრუქტურულად ძალიან ძლიერი პარტიაა და ეს დაეხმარება მათ. ხელისუფლების ზოგიერთი არაკომპეტენტური გადაწყვეტილების ფონზე „ნაცმოძრაობა“ შეტევის რეჟიმზეა გადასული. მართალია, „ნაცმოძრაობას“ აქვს პრობლემები, მაგრამ სანამ შესაძლებლობა ექნება, იგი შემტევ რეჟიმზე იქნება გადასული. ისეთი შთბაეჭდილება მრჩება, რომ ზოგ შემთხვევაში ხელისუფლება „ნაცმოძრაობის“ ოპონირებას ვერ უძლებს, ზოგ შემთხვევაში კი ამ ოპონირებას აგებს. ამ ყველაფრის ფონზე „ნაციონალები“ ეცდებიან, რომ ხალხს თავი ძლიერ პარტიად წარმოუჩინონ.

**— შარშან საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების პარაფირება მოახდინა... თუ ელოდებით ამ მიმართულებით წინგადადგმულ ნაბიჯებს და რა რეაქციას უნდა ველოდოთ რუსეთის მხრიდან?**

— ამ ხელშეკრულების ხელმოწერის ვადამ გადმოიწია და მას ხელი ძალიან მალე მოეწერება. ამ ფონზე რუსეთის ზეწოლა მოსალოდნელია. ხელისუფლების მხრიდან გააზრებული პოლიტიკაა საჭირო, რომ რუსეთისგან მოსალოდნელი საფრთხეების ამოცნობა წინასწარ იყოს შესაძლებელი.

**— ნატოზე საუბარმა მეორე პლანზე გადაიწია...**

— მართალია, ნატოზე საუბარმა მეორე პლანზე გადაიწია, მაგრამ მოდით ისიც ვთქვათ, რომ ნატოზე საუბარმა არაფერი არ მოგვიტანა. ნატო, ნატოს ძახილით ვინმემ ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში მიგვიღო?! საუბარი კი არაა საჭირო, არამედ რეალური რეფორმების გატარება, რომ ამ რეფორმების შედეგად ჩვენი ნატოში შესვლა იყოს შესაძლებელი. მხოლოდ საუბარი რომ საქმეს არ შველის, ეს მგონი გასულმა წლებმაც გვაჩვენა.

ესაუბრა
**გუგა ბარათელი**

**კაკალ გულში**

## წერტილოვანი ფრაზები

● გამოცხადდა ვაკანსია.
ჩამოწერა მაკამ სია.
ვაკანსია ფანდია,
სიაც სიაფანდია.

● „კრიოსტნი ატეცის“ მუსიკა რო დავაყენო ტელეფონზე, მაგაზეც სროკია, თუ მარტო „მურკაზე“?

● ბატონო ვახტანგ ხმალაძევ, ვისაც ქურდობა მე-9 კლასამდე გვინდოდა, იმათზე სროკ დავნოსტი მოქმედებს?

● არაფრის ღირსები არ ვართ თბილისელები სანამ ერთმანეთის პრობლემის გაზიარებას არ ვისწავლით. ვაკის პარკის პრობლემაზე 20 კაცი მივიდა საპროტესტო აქციაზე, ასათიანის ქუჩაზე 20 კაცი, იპოდრომის პრობლემაზე 20 ... ზატო უკრაინისა, თურქეთისა და ევროკავშირის პრობლემებზე უკანალზე ფეხების რტყმით გარბიხართ. არ გავკარი ევროკავშირს, თუ ჩემ ქალაქში ვერ ვისუნთქე?

● გამაგებინეთ რატომ ითვლება ტიტველი თეთრკანიანი ქალი პორნოგრაფიად და შიშველი შავკანიანი ქალი კი ეთნოგრაფიად?




● ისე ცნობისმოყვარეობისთვის ვკითხულობ: 20 ლარის მოპარვისთვის (ძეხვი და პური უყიდია) აგვისტოში ფსიქიკურად ავადმყოფი ბიჭი რომ დაიჭირეს, და გიგი უგულავა ერთი წონის ქურდები არიან?

● მე ვიცი, რა ძნელიც არის მუდმივად ახალი შინაარსის შექმნა მედიაში, მაგრამ არც ისე ძნელია, როგორც ეს „კურიერ პიესს“ წარმოუდგენია.

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძე**

**ალიან-ჩალიანი**



### მიუსაფართა თავშესაფარს ეპიდემია არ ემუქრება

**რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია მიუსაფართა თავშესაფრის გამო, ეპიდემიის საფრთხეს გამორიცხავს.**

**როგორც ნარმანიამ განაცხადა, თავშესაფარში კვირაში 2-ჯერ დეზინფექცია ტარდება.**

**— მიუხედავად ამისა, მიუსაფართა პრობლემებზე მომუშავე კომისიის ბოლო სხდომაზე მივიღეთ კარვების გადატანის გადაწყვეტილება. ტერიტორია, რაც თავშესაფრისთვის არის გამოყოფილი, საკმარისი არ არის იმისთვის, რომ ყველა სახის სერვისით სრულად მოვემსახუროთ 200 ადამიანს, ამიტომ ავიღებთ სხვა, გაცილებით დიდ ტერიტორიას, სადაც გაზაფხულზე დავიწყებთ უფრო სტაციონარული ტიპის თავშესაფრის მშენებლობას, — განაცხადა დავით ნარმანიამ და იქვე განმარტა, რომ ახალი თავშესაფარი თბილისის შემოგარენში განთავსდება.**

**ამასთან, მინისტრი კიდევ ერთხელ გამოეხმაურა თავშესაფარში ორი პირის გარდაცვალების საკითხს და განმარტა, რომ აღნიშნული არა კარვებში არსებული „ცუდი პირობებით“, არამედ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობით იყო გამოწვეული.**

### ვაკე-საბურთალოს გამგეობის ფინანსურ დოკუმენტაციებში დარღვევები აღმოჩნდა

**თბილისის საკრებულოში შექმნილმა სარევიზიო კომისიამ ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის ფინანსურ დოკუმენტაციებში რიგი დარღვევა აღმოაჩინა. როგორც კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ქავთარაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, დარღვევების შესახებ მასალები შემდგომი რეაგირებისთვის სამართალდამცავ უწყებებს გადაეცემა.**

**— ჩვენ შევისწავლეთ ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის 2012 წლის ფინანსური დოკუმენტაცია და გამოვლინდა შემდეგი სახის დარღვევები — სადარბაზოებში სენსორული სანათების დამონტაჟებისთვის გამოყოფილი იყო 672 655 ლარი, საიდანაც 617 ათასი ლარი დაიხარჯა. ყველა ხელშეკრულება გაფორმებული იყო მხოლოდ ერთ კომპანიასთან — შპს „თბილისი გრუპთან“. ესაა კონკრეტულად გიგი უგულავას ფირმა და მას ხელმძღვანელობს მასთან ძალზე დაახლოებული ადამიანი. ამ შემთხვევაში არსებობდა გამგეობის მიერ გამოცემული დადგენილებების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი, რადგან შემსრულებლის მიერ ფინანსური დოკუმენტაცია კანონით გათვალისწინებული ნორმების დარღვევით არის წარმოდგენილი, — განაცხადა მიხეილ ქავთარაძემ და იქვე დასძინა, რომ შპს „თბილისი გრუპმა“„ 2011-2012 წლებში ყოველგვარი ტენდერების გარეშე მილიონობით ლარის სამუშაოები შეასრულა დედაქალაქში.**

**გარდა ამისა, მისივე განმარტებით, გამოიკვეთა სხვა სახის დარღვევებიც.**

**ინტერპრესი**





# ასე მხეციც არ მოიქცეოდა!

## ვანო მერაბიშვილსა და დათა ახალაიას, შესაძლოა, ბრალი დაუმძიმდეთ

**წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე მთავარ პროკურატურაში 170 სისხლის სამართლის საქმეს იძიებენ. დევნა დაწყებულია 63 პირის მიმართ, მათ შორის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილი უფროსის, ამავე დაწესებულების 9 დირექტორის, 7 მოადგილის და სხვა მაღალი თანამდებობის პირთა მიმართ. გამამტყუნებელი განაჩენი უკვე გამოუტანეს 29 პირს. მათ შორის არიან ყოფილი მაღალჩინოსნები. მიმდინარე გამოძიების პროცესში დადგენილია, რომ დაკავებულთა წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტებში უშუალოდ მონაწილეობდა კუდ-ის დირექტორის მოადგილე მეგის ქარდავა.**

ისტორია, მძიმე დანაშაული, რომელზეც გიამბობთ „რეფორმირებულ“ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდა, რომლის ხელმძღვანელი წლების განმავლობაში იყო ბაჩო ახალაია. ამ დანაშაულის კვალი კი ახალაიას მეგობარ მეგის ქარდავასთან მიდის. საქმე ეხება აფხაზეთიდან დევნილი 21 წლის ელდარ ქობალიას მკვლელობის საქმეს. როგორც მთავარ პროკურატურაში აცხადებენ, არაა გამორიცხული, რომ ამ საქმეზე ვანო მერაბიშვილს, დათა ახალაიას და სოსო თოფურიძეს ბრალი დაუმძიმდეთ.

ეს შემზარავი დანაშაული სამი წლის წინათ გლდანის მე-8 დაწესებულებაში მოხდა. საბერიოს მკვიდრი ელდარ ქობალია 2011 წლის 1 აპრილს ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირიდან გაუჩინარდა. თუმცა, მოგვიანებით გავრცელდა ოფიციალური ინფორმაცია, რომ პოლიციამ ის ნარკოტიკული საშუალებების შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავა. დაკავებული სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს.

დაკავებულს იმავე დღეს შსს-ს სამეგრელოს სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილე მეგის ქარდავა ესტუმრა და მისგან ტერორისტული აქტის მომზადების აღიარება მოითხოვა, რასაც ქობალია არ დაეთანხმა. ამის შემდეგ ქარდავამ გასცა ბრძანება მისი წამების შესახებ, რაც აღასრულეს ქარდავას თანამშრომლებმა. როგორც გამოძიებით ირკვევა, იმავე ღამით, ზუგდიდში, სამხარეო მთავარი სამმართველოს შენობაში იმყოფებოდნენ ყოფილი შს მინისტრი ივანე მერაბიშვილი, კუდ-ის დეპარტამენტის ყოფილი დირექტორი დავით ახალაია, სოსო თოფურიძე და სამინისტროს სხვა მაღალჩინოსნები.

სასტიკად ნაცემი ქობალია 5 აპრილს, თბილისში კუდ-ის შენობაში გადაიყვანეს. 6 აპრილს, თბილისის საქალაქო სასამართლომ მას წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. ქობალია გლდანის მე-8 დაწესებულებაში გადაიყვანეს. როგორც პროკურორი კოკა კაციტაძე ამბობს, გლდანის ციხეში მის წამებაში მეგის ქარდავას გარდა, ახალი პირებიც ჩაერთვნენ.

**„ელდარ ქობალიაზე ზეწოლის გაგრძელების მიზნით, მე-8 დაწესებულების დირექტორის, ალექსანდრე მუხაძის უკანონო სიტყვიერი ბრძანებით ქობალია შესახლებისთანავე მოათავსეს ე.წ. „ფუქსებში“, სადაც ის 6 დღის განმავლობაში ჰყავდათ.**

**11 აპრილს, მე-8 დაწესებულებაში მივიდნენ გაგა მკურნალიძე და მეგის ქარდავა, რომელთა მითითებითაც დაწესებულების თანამშრომლებმა დირექტორის მოადგილის კაბინეტში აიყვანეს პატიმრები ელდარ ქობალია, კობა მატკავა და მერაბ ყოლბაია. ისინი რამდენიმე საათის განმავლობაში უმოწყალოდ ცემდნენ, აწამებდნენ ხელკეტისა და ელექტროშოკის გამოყენებით“,** — ამბობს კოკა კაციტაძე.

მისივე განცხადებით, გამოძიებით დადგენილია, რომ პატიმართა წამებისას მეგის ქარდავა და გაგა მკურნალიძე იმდენად ხშირად იყენებდნენ ელექტროშოკს, რომ მოწყობილობა ორჯერ გახდა დასატენი. 21 წლის ელდარ ქობალია 2011 წლის 11 აპრილს გვიან ღამით გარდაიცვალა. თუმცა, საბერიოში მყოფი მისი ოჯახის წევრებისთვის პატიმრის გარდაცვალების შესახებ არ უცნობებიათ.

**„წამების დროს, ელდარ ქობალიამ ვერ გაუძლო მასზე განხორციელებულ ფიზიკურ ძალადობას და დაკარგა გონება. რამდენიმესაათიანი წამების შემდგომ, მეგის ქარდავამ და გაგა მკურნალიძემ გონებადაკარგული ელდარ ქობალია ოთახის კარებთან მიათრიეს და იქვე დატოვეს. წამების შედეგად, ელდარ ქობალიას ჯანმრთელობის მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა.**

**შუადღისას ციხის დირექტორის ალექსანდრე მუხაძის სიტყვიერი ბრძანების საფუძველზე, ფაქტობრივად უგონო მდგომარეობაში მყოფი ქობალია ე.წ. „ფუქსებიდან“ გადაიყვანეს საკანში, სადაც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის ვიზუალურად გასაკონტროლებლად, შეასახლეს სხვა პატიმარი. მოგვიანებით ელდარ ქობალიას მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა და ისე, რომ მისთვის სამედიცინო დახმარება არ გაუწევიათ, ის იმავე დღეს გარდაიცვალა“,** — ამბობს კოკა კაციტაძე.

ქობალია ობოლი იყო. მას საბერიოში ბებია და ბაბუა ზრდიდნენ. შვილიშვილის გაუჩინარების შესახებ იმავე დღეს შეატყობინეს ზუგდიდის პოლიციას, თუმცა, პოლიციაში მათ დაუმალეს, რომ ელდარ ქობალია დაკავებული ჰყავდათ. პოლიციაში მისულებს განუცხადეს, რომ განცხადება დაეწერათ ადამიანის გაუჩინარების თაობაზე. მეტიც, როგორც გამოძიებით ირკვევა, 1 აპრილის ნაცვლად, დაკავების ოქმში ოფიციალურ დაკავების თარიღად 4 აპრილია მითითებული. დაკავებიდან 16 დღის შემდეგ, საქმეში ოფიციალურად ერთვება ადვოკატი ლექსო არქანია, მაგრამ გლდანის ციხეში მისულ ადვოკატს პატიმარი ადგილზე არ დახვდა.

„ადგილზე მისულს ქობალია არ დამხდა. ის თურმე 10 დღის გარდაცვლილი იყო. მითხრეს, რომ ასეთი პიროვნება საერთოდ არ იყო შემოსული, მერე მითხრეს, რომ შემოსული კი იყო, მაგრამ განთავისუფლებულია. როცა მოვითხოვე დასკვნა, ადამიანი ტერორისტული აქტის ორგანიზების ბრალდებით იყო დაკავებული და რის საფუძველზე განთავისუფლდაო, ამის შემდეგ მითხრეს, პატიმარი მე-18 დაწესებულებაში მომეძია, მაგრამ ვერც იქ მივაგენი კვალს. არსად არ იყო აღნუსხული ელდარ ქობალია, იმდენად გასაიდუმლოებული იყო ეს საქმე. როდესაც ქობალიას ძიება დავიწყე, კუდ-მა შემომითვალა, რომ თავი დამენებებინა ამ საქმისთვის, იყო ზეწოლა, მაგრამ მაინც გავაგრძელე ამ საქმის ძიება და ადამიანი ვიპოვე უპატრონოთა ველის სასაფლაოზე, იქ იყო დაკრძალული.

**3 დღე ვადგენდი დაკარგული იყო, გარდაცვლილი თუ გათავისუფლებული. მივმართე სასჯელაღსრულების დეპარტამენტს, გენინსპექციას, სამინისტროს, რომ დაედგინათ ადგილსამყოფელი. ამის შემდეგ მივმართე პროზექტურას, საიდანაც მაცნობეს, რომ 2011 წელის 11 აპრილს, გლდანის ციხის მაშინდელი ხელმძღვანელის, მუხაძის მომართვით ქობალია პროზექტურაში იქნა გადაყვანილი. ამ ინფორმაციასაც არ მიდასტურებდა სასჯელაღსრულების სამინისტრო“,** — ამბობს ადვოკატი.

ადვოკატს მხოლოდ სამი დღის შემდეგ აცნობეს, რომ პატიმარი ქობალია თბილისში, აფრიკის დასახლებაში, ველის სასაფლაოზე იყო დაკრძალული. მისივე თქმით, შსს-ს და კუდ-ი ორი კვირა ევაჭრებოდა ოჯახს, სანამ ცხედრის გადასვენების უფლებას მისცემდნენ — ქობალიებს ცხედრის სანაცვლოდ, ოჯახს უარი ათქმევინეს ადვოკატზე და საქმის შემდგომ გამოძიებაზე. ოჯახი ამბობს, რომ მათ დასახმარებლად არაფერი გააკეთა მაშინდელმა სახალხო დამცველმა გიორგი ტუღუშმა. საბოლოოდ, ცხედარი მხოლოდ 26 აპრილს გადასცეს ქობალიებს.

გალის რაიონში, სოფელ საბერიოში გადასვენებული ცხედარი ადგილობრივმა ქირურგმა ნახა. ვიზუალური დათვალიერების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ცხედარს ჩატვრეული ჰქონდა ორივე ფეხის ქუსლი, გადამტვრეული ჰქონდა ხელის თითები, ნიკაპი — ჩატეხილი, დამტვრეული ჰქონდა ყველა ნეკნი. ადვოკატი გვამის ექსჰუმაციას ითხოვს.

**„ადამიანი მკვდარი გამოასვენებს მე-8 დაწესებულებიდან, არც ერთი ძვალი მთელი არ ჰქონდა, სასტიკი მეთოდებით აწამეს, რომელსაც ვერ გაუძლო და გარდაიცვალა. სავარაუდოდ, ბლაგვი საგნით არის ნაცემი. არცერთი ძვალი არ ჰქონდა მთელი, ამ დროს ლევან სამხარაულის ექსპერტიზა მიუთითებს გარეგან დაზიანებებს. იმიტომ მინდა გვამის ექსჰუმაცია, რომ საქმეში ჩაიდოს რეალური ფაქტი და სისხლის სამართლის პასუხისმგებაში უნდა მიეცნენ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ის სპეციალისტები, რომლებმაც დაწერეს ეს ყალბი ჩვენება.**

**ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზა იყო ერთ-ერთი შემსრულებელი, რომელიც აყალბებდა დასკვნებს. ყველა გარდაცვლილზე იძლეოდნენ ყალბ დასკვნას. ამიტომ მჭირდება გვამის ექსჰუმაცია და ალტერნატიული სასამართლო ექსპერტიზის ჩატარება, რომ ელდარ ქობალიაზე დაიდოს რეალური დასკვა, რამაც გამოიწვია მისი სიკვდილი“,** — ამბობს for.ge-სთან საუბრისას ლექსო არქანია.

ადვოკატი ყველა დამნაშავის დასჯას მოითხოვს. მისი თქმით, უამრავი ადამიანი არსებობს, რომელმაც ნახა, როგორ აწამებდნენ ქობალიას. მისი თქმით, ქობალიას წამების მიზეზი იყო ის, რომ ქობალიას ტერორისტული აქტის მზადების შესახებ აღიარებითი ჩვენება მიეცა, დაესახელებინა ის თანამდებობის პირები, რომელთა დაკვეთით, თითქოსდა ქობალია ხელმძღვანელობდა და ამზადებდა ტერაქტს.

ტერორისტული აქტის მომზადების აღიარების მისაღებად პატიმრის წამების ფაქტზე, ბრალდებულის სახით, პასუხისგებაში მიეცნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის ყოფილი მოადგილე გაგა მკურნალიძე და შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილე მეგის ქარდავა, ხოლო სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მე-8 დაწესებულების ყოფილი უფროსი ალექსანდრე მუხაძე სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე.

გამოძიებით დადგინდა, რომ 2011 წლის 2 აპრილს შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ფაქტზე დააკავეს 1989 წელს დაბადებული ელდარ ქობალია, რომელიც გადაიყვანეს ზუგდიდის პოლიციის შენობაში, სადაც აწამეს, მოუწყვეს სქესობრივი ძალადობის ინსცენირება და მეგის ქარდავა, გამოძიებით დაუდგენელ პირებთან ერთად, სთხოვდა ტერორისტული აქტის მომზადების აღიარებას.

**ბრალის დამტკიცების შემთხვევაში ბრალდებულებს ცხრიდან თხუთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.**

**როგორც ცნობილია, მეგის ქარდავასა და ალექსანდრე მუხაძეზე საერთაშორისო ძებნაა გამოცხადებული, გაგა მკურნალიძე უკვე დაკავებულია სხვა საქმეზე. მთავარ პროკურატურაში აცხადებენ, რომ გამოძიება გრძელდება ამ საქმეზე სხვა პირების ბრალეულობის დასადგენად.**

**თამთა ქარჩავა**

ალიან-ჩალიანი

## ჰაკერებმა პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი ისევ „გატეხეს“

**პარლამენტის საიტი მესამე დღეა გათიშულია და შესაბამისი სამსახური მის აღდგენას ამ დრომდე ცდილობს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ პარლამენტის აპარატის ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსმა მერაბ გოცირიძემ განუცხადა, საიტი მთლიანად დაზიანებულია და ფაილური სისტემა „განულებულია“. მისივე ცნობით, მიმდინარეობს ახალი ფაილური სისტემის შექმნა, რადგან ძველში ჩაწერილია ჰაკერების კოდი და იგივეს აღდგენის შემთხვევაში, საიტს ადვილად გატეხენ.**

**მერაბ გოცირიძის თქმით, პარლამენტის ვებგვერდის უსაფრთხოება სათანადოდ უზრუნველყოფილი არ არის. „კონტროლ-პანელი, რითაც პარლამენტის საიტი იმართება, საკმაოდ დაუცველია. ის ზურაბ ადეიშვილის დროს ძალით მოვიდნენ და დაგვიყენეს“, — აცხადებს პარლამენტის ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელი. 10 დღეში პარლამენტს სრულიად ახალი საიტი ექნება, რომელიც სულ სხვა კონტროლ-პანელზე იქნება აწყობილი.**



ინტერპრესი

◎ კრიმინალი

# „დანაშაულის აღკვეთა“ თუ აშკარა მკვლელობა და სიმხეცე?

## ბაჩო ახალაიას და მეგის ქარდავას ბრალი დაუმძიმდათ

როგორც გუშინ მთავარ პროკურატურაში გამართულ სპეციალურ პრესკონფერენციაზე აღინიშნა, ახალაიას და ქარდავას ახალი ბრალი პატიმრების წამების ფაქტზე წარედგინათ.

„2014 წლის 12 იანვარს, საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქ. რუსთავის №1 დაწესებულებიდან პატიმართა მასობრივი გაქცევის მომზადების აღიარების მისაღებად პატიმრების წამების ფაქტზე, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიეცნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილი უფროსი ბაჩანა ახალაია და ქ.თბილისის №7 საპყრობილის ყოფილი დირექტორი მეგის ქარდავა. ეს უკანასკნელი ამჟამად იმყოფება მიმალვაში.



გამოძიებით დგინდება შემდეგი: სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №1 დაწესებულების პატიმარმა გია გორგაძემ დაწესებულების დირექტორს აცნობა, რომ ერთ-ერთი პატიმრისგან მიიღო შეთავაზება ციხიდან გაქცევაზე და მზადყოფნა გამოთქვა ეთანამშრომლა ციხის ადმინისტრაციასთან. ამ საკითხზე გ.გორგაძეს ციხეში უშუალოდ შეხვდა ბაჩანა ახალაია და შეუთანხმდა, რომ ციხიდან შესაძლო გაქცევის მომზადების აღკვეთაში მას დაეხმარებოდა გია გორგაძის ძმა შოთა გორგაძე. ბ.ახალაიას დავალებით გ.გორგაძემ ციხიდან დაურეკა თავის ძმას, რომელიც მეგობრებთან რომან სურმანიძესთან და მარად ართმელიძესთან ერთად, იმყოფებოდა წალკაში ნათესავის ნათლობაში. ძმის თხოვნით შოთა გორგაძე თავის მეგობრებთან ერთად ჩამოვიდა თბილისში.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, 2006 წლის 12 იანვარს, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტმა, მისი მაშინდელი დირექტორის დათა ახალაიას ხელმძღვანელობით დაგეგმა და ჩაატარა სპეცოპერაცია, რა დროსაც ქ.თბილისში, „ნავთლუღის“ ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე საეჭვო გარემოებებში დახოცეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №1 დაწესებულების პატიმრის გია გორგაძის ძმა – 1988 წელს დაბადებული შოთა (მურად) გორგაძე და მისი მეგობრები: 1985 წელს დაბადებული რომან სურმანიძე და 1983 წელს დაბადებული მარად ართმელაძე, რომლებიც თითქოსდა პატიმართა მასობრივი გაქცევის მიზნით, გეგმავდნენ ქ.რუსთავის №1 საერთო რეჟიმის დაწესებულებაზე შეიარაღებულ თავდასხმას. სპეცოპერაციის შემდგომ გ.გორგაძეს მის მობილურ ტელეფონზე ციხეში დაურეკეს და უთხრეს, რომ მისი ძმა მათ მოკლეს და მიდიოდნენ ციხეში, რომ გ.გორგაძისთვისაც მიეხედათ.

სპეცოპერაციის დასრულებისთანავე, სპეცრაზმის თანამშრომლების თანხლებით ბაჩანა ახალია და მეგის ქარდავა მივიდნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №1 დაწესებულებაში, სადაც ბ.ახალაიას ბრძანებით, პატიმრები – გია გორგაძე, დავით ლექვთაძე, ვალერიან პაპავა, მიხეილ მანდარია, მამუკა ბეჟვაია და ბერდია მესხი ეზოში გაიყვანეს. ბ.ახალაიამ და მ.ქარდავამ №1 დაწესებულების ეზოში გაყვანისთანავე დაიწყეს მითითებული პატიმრების უმოწყალოდ ცემა, ასევე მათი მითითებით პატიმრებს ცემა დაუწყეს სპეცრაზმის თანამშრომლებმაც. ძირს დაყრილი პატიმრების ცემისას იყენებდნენ ხელკეტებს, ურტყამდნენ ავტომატის კონდახებს. ცემისას პატიმრებს თხოვდნენ ციხიდან გაქცევის მომზადების აღიარებას და ხაზს უსვამდნენ, რომ მათ სცემდნენ დასჯის მიზნით. მათ მიერ ნაცემი თითოეული პატიმარი გაატარეს სპეცრაზმელების მიერ გაკეთებულ ე.წ. „კორიდორში“, სადაც გაგრძელდა მათი უმოწყალო ცემა როგორც ხელ-ფეხით, ისე ხელკეტებით.

დაწესებულების ეზოში ხსენებული პატიმრების ცემის შემდეგ, მათ ბ.ახალაიას მითითებით გაახდევინეს ტანსაცმელი და უბრძანეს ასულიყვნენ საბადრაგო ავტომანქანაში. ექვსივე პატიმარი ავტომანქანით გაიყვანეს დაწესებულების ტერიტორიის გარეთ. დაწესებულებიდან გაყვანისთანავე გააჩერეს ავტომანქანა და გაშიშვლებულ პატიმრებს კვლავ უბრძანეს მანქანიდან ძირს ჩასვლა. ასეთ მდგომარეობაში ისინი ბ.ახალაიას მითითებით დააყენეს ჯერ №1 დაწესებულების კედელთან, ხოლო შემდეგ კი დააწვინეს მიწაზე თოვლში და ტალახში. მათ თავზე ადგნენ შეიარაღებული სპეცრაზმელები, რომლებიც ბ.ახალაიას ბრძანებით აგრძელებდნენ მათ ცემას. აღნიშნულის შემდეგ, ყოველგვარი იურიდილი საფუძვლების გარეშე ბ.ახალაიამ უკანონოდ გასცა განკარგულება პატიმრების გ.გორგაძის, დ.ლექვთაძის, ვ.პაპავას, მ.მანდარიას, მ.ბეჟვაიას და ბ.მესხის ს.ა.დ.-ის №1 დაწესებულებასთან შედარებით უფრო მკაცრი რეჟიმის – №7 დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე, რაც დაუყოვნებლივ შესრულდა.

ს.ა.დ.-ის №7 დაწესებულებაში შეყვანისას პატიმრებს, სპეცრაზმის წევრებთან ერთად, კვლავ დახვდნენ ბაჩანა ახალაია და მეგის ქარდავა. მითითებულმა პირებმა სპეცრაზმის თანამშრომლებთან ერთად დაწესებულების დერეფანშივე გააგრძელეს ექვსივე პატიმრის უმოწყალოდ ცემა ხელკეტების გამოყენებით და კვლავ თხოვნდენ ციხიდან გაქცევის მომზადების აღიარებას, რის შემდეგაც გ.გორგაძე, ვ. პაპავა, მ. მანდარია, მ. ბეჟვაია, ბ. მესხი და დ. ლექვთაძე შეასახლეს საკნებში. პატიმრების წამება გაგრძელდა აღნიშნულის შემდეგაც, ისინი სათითაოდ გაჰყავდათ საკნიდან ცალკე ოთახში, სადაც თითოეული მათგანისგან წამების შედეგად მოითხოვდნენ აღიარებითი ჩვენების მიღებას ციხიდან გაქცევის მომზადების შესახებ. ხსენებული პატიმრების წამება საერთო ჯამში გაგრძელდა რამდენიმე საათის განმავლობაში, რის შემდეგაც, მიუხედავად მიღებული სხეულის დაზიანებებისა, ყველა პატიმარი ყოველგვარი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის გარეშე შეასახლეს საკნებში.

გამოძიება აგრძელებს მუშაობას ქ.თბილისში „ნავთლუღის„ ავტოსადგურის ტერიტორიაზე, 2006 წლის 12 იანვარს, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის გარემოებების დასადგენად, რასაც შედეგად მოჰყვა სამი ახალგაზრდის ლიკვიდაცია“, – აცხადებენ პროკურატურაში.

ოფიციალური ცნობით, ბრალდებულების ახალაიას და ქარდავას მიმართ გამოძიება გრძელდება საქართველოს სსკ-ის 1441 მუხლის მეორე ნაწილით და 333-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას შვიდიდან თხუთმეტ წლამდე ვადით.

◎ კონკურსები

# მედლის ორი მხარე

**სამუშაოს მძებნელთათვის ერთგვარ შვებად იქცა წინა ხელისუფლების მიერ სრულად იგნორირებული საჯარო სამსახურში ვაკანტურ ადგილებზე კანონით გათვალისწინებული კონკურსების აღდგენა. კონკურსები 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მთავრობის სრული შემადგენლობით გადადგომისა და ახალი მინისტრთა კაბინეტის ჩამოყალიბების შემდეგაც გამოცხადდა. სამინისტროებსა და უწყებებს მრავალი მუშაობის დაწყების მსურველი კვალიფიციური კადრი მოაწყდა. მაგრამ მათი უმრავლესობის იმედებს მალევე ცივი წყალი გადაასხეს.**

აპლიკანტები, რომლებმაც ამა თუ იმ უწყებაში გამოცხადებულ ვაკანტურ ადგილას განაცხადი შეიტანეს, კონკურსის დამთავრების შემდეგ სინანულით ამბობდნენ, რომ მათი იმედები მთავრობამ არ გაამართლა. ყველაფერი ფორმალურად იყო. მითითებულ მოთხოვნებს, ამავე უწყებაში შექმნილი კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით, თურმე მხოლოდ უკვე მოქმედი თანამშრომლები აკმაყოფილებდნენ.

საერთოდ, კანონის დაცვა ყველასათვის სავალდებულოა და პირველ რიგში ხელისუფლებისთვის, მაგრამ კანონის დაცვა ფორმალობად არ უნდა იქცეს, აცხადებს ექსპერტი **ლევან ალაფიშვილი.** მისი აზრით, **სამინისტროების ხელმძღვანელები, ბევრი ფიქრის შემდეგ, მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ შეიმუშავეს წესი, რომლითაც არც კანონს არღვევენ და ვალდებულებებსაც ოსტატურად არიდებენ თავს. სწორედ ამგვარად შეიძლება აღვიქვათ ცენტრალური დაწესებულებებისა და მუნიციპალიტეტების მცდელობა, კანონში დარჩნენ ფორმალურად – ასკვნის ექსპერტი და განაგრძობს, რომ ბევრი კვალიფიციური სამუშაოს დაწყების მსურველი კონკურსის შედეგების მიხედვით გარეთ დარჩა, უწყებებში კი მათ დაუფარავად ჯერ ბოდიშს უხდიან და შემდეგ განუმარტავენ, რომ კანონი ავალდებულებდა მათ კონკურსის გამოცხადებას, თორემ იმ ვაკანტურ თანამდებობაზე, თანამშრომელი უკვე გვყავსო.**

სხვა შემთხვევებიც ფიქსირდება, – ამბობს ალაფიშვილი, – ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადებისას ისეთ პირობებს აყენებენ, რომ მასში მონაწილეობას აზრი არა აქვს.

ექსპერტის მოსაზრებას მთლიანად იზიარებენ არასამთავრობოები. მათ ხელთ აქვთ დოკუმენტი, რომელიც წყალტუბოში ნებისმიერი თანამდებობის დაკავების მსურველს (მნიშვნელობა არა აქვს დამლაგებელი იქნება იგი თუ იურისტი) კონკურსი ერთი და იგივე პირობების დაკმაყოფილებას სთხოვს.

2013 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტმა სხვადასხვა თანამდებობაზე (მათ შორის დამლაგებლის) კონკურსი გამოაცხადა. კომისია მომავალ დამლაგებელს, სხვა თანამდებობის დაკავების მსურველთა დარად, რომელსაც ხელფასი 265 ლარი ექნება და ევალება სახანძრო-სამაშველო სამსახურის შენობის დასუფთავება და სანიტარიული მდგომარეობის მოწესრიგება, ამგვარ პირობებს უყენებს – **მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს მინიმუმ ბაკალავრის დიპლომი. მაგრამ ეს ყველაფერი არ არის. მან უნდა იცოდეს: 1. საქართველოს კონსტიტუცია; 2. ევროპული ქარტია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“; 3. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი; 4. საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“; 5. საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“; 6. საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის და კორუფციის შესახებ“.** ყოველივეს ემატება ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ მიღბული და დამტკიცებული ნორმატიული აქტები: „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ (წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 28 ივლისის დადგენილება №7); „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გემგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ (წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 22 აგვისტოს №16 დადგენილება), შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულება.

ყოველივე ამასთან ერთად მოთხოვნაა, რომ დამლაგებელი სხვა პირებთან (ჩინოვნიკებთან) ერთად ფლობდეს კომპიუტერულ ცოდნასა და უნდა გააჩნდეს წერითი უნარი.

თითქმის ანალოგიური მოთხოვნები აქვთ მუნიციპალიტეტს კონკურსანტებთან ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებშიც. გურიის მკვიდრი ნუგზარ კუტალაძე აპელანტების მიმართ წაყენებულ საკონკურსო მოთხოვნებს გურული ენაკვიმატობით აფასებს – **ამათ მეხანძრეები, დამლაგებლები, მეეზოვეები უნდათ თუ ვუნდერკინდელები. მაგდენი სწავლა-განათლება შემმოწმებლებსაც არ ექნებათ. საქართველოს კანონებთან დაკავშირებით აპელანტები იმის ცოდნას სთხოვენ, რაც საქართველოს პარლამენტის წევრთაგან ბევრსაც არ ეცოდინება,** – ამბობს კუტალაძე.

ექსპერტი ლევაძნ ალაფიშვილი ამბობს, რომ მსგავსი პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია საჯარო სამსახურის რეფორმაზე მუშაობის დაჩქარება. იგი საქმის კურსშია, რომ ხელისუფლება მუშაობს საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფციაზე, ანუ საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით მიმდინარეობს იმაზე მუშაობა, თუ რა არის საჯარო სამსახური. ამის შესახებ მუშავდება კანონპროექტი.

ექსპერტს მიაჩნია, რომ ყველაფრის არსებულ დონეზე დატოვება დაუშვებელია. ვაკანსიებში დარჩენილი ზოგიერთი მოთხოვნის ზოგიერთი ნაწილი შეიძლება დარჩეს ერთი კონკრეტული უწყების პრეროგატივად, მაგრამ კონცეფცია უნდა იყოს საერთო, ასკვნის ლევან ალაფიშვილი.

**ზაზა ბილიხოძე**

◎ ალიან-ჩალიანი

## ნავთობისა და გაზის კორპორაცია ძვირადღირებული ავტომობილების შეძენაზე განმარტებას აკეთებს

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია ძვირადღირებული ავტომობილების შეძენასთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციაზე განმარტებას აკეთებს.

ნავთობისა და გაზის კორპორაციის განცხადებას „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ:

**„საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ოფიციალური განმარტება კორპორაციის მიერ „ტოიოტა ცენტრ თბილისთან„ გაფორმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით ქართულ მედიაში გავრცელებულ ინფორმაციაზე, რომლის თანახმადაც კორპორაციამ 2013 წლის 21 ნოემბერს „ტოიოტა ცენტრ თბილისთან„ ორი ხელშეკრულება გააფორმა და სედანისა და ჯიპის ტიპის ავტომობილების შესაძენად 1 135 130 ლარი დახარჯა.**

**ავტოსატრანსპორტო საშუალებები საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის მიერ 2013 წლის ნოემბერში შეძენილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს სპეციალური ღონისძიებების მთავარი სამმართველოს შესაბამისი დანაყოფისთვის, რომელიც კორპორაციაში ახორციელებს კორპორაციის კუთვნილი სტრატეგიული ობიექტების (გაზსადენების სისტემა, ნავთობსადენები, ნავთობის საბადოები) დაცვას.**

**ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენამდე კორპორაციის მიერ მიღებულ იქნა ყველა საჭირო თანხმობა საქართველოს მთავრობის შესაბამისი უწყებების მხრიდან ამ შესყიდვის ჩასატარებლად. აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებების შეძენა მოხდა ღია ტენდერის საფუძველზე.**

**ზემოაღნიშნული სტრატეგიული ობიექტების დაცვისა და პატრულირების საქმიანობის საჭიროებებიდან გამომდინარე, კორპორაციის მიერ შეძენილი ავტოსატრანსპორტო საშუალებები კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, საკუთრებაში გადაეცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს“,** – აღნიშნულია განცხადებაში.



# ანა ნეისტატი: გაგება, რომ ეს არ

**გვესაუბრება ანა ნეისტატი – Human Rights Watch–ის განსაკუთრებული სიტუაციების განყოფილების დირექტორის მოადგილე**

**— ანა, 5 წლის წინათ რუსეთ-საქართველოს ომის დროს Human Rights Watch-ი ცხინვალის რეგიონში იმყოფებოდა. მაშინდელ მოვლენებს ქრონოლოგიურად ხომ ვერ გაიხსენებდით?**

— 2008 აგვისტოში, როცა კონფლიქტი დაიწყო, ჩვენ ცხინვალში ვერაფრით მოვხვდით. ჩვენი გამგზავრების ერთ-ერთი მთავარი მიზანი კი იყო იმ ინფორმაციის უარყოფა ან დადასტურება, რასაც მაშინდელი რუსული მედია ავრცელებდა. კერძოდ კი ის, რომ ქართული მხარის მიერ განხორციელებული დაბომბვის შედეგად ლამის ორი ათასი ადამიანი დაიღუპა. მე კარგად მახსოვს, როგორ ვცდილობდით ჯერ ჩრდილოეთ ოსეთში და მერე სამხრეთ ოსეთში მოწმეებისა და დევნილების გამოკითხვას, რათა გაგვეგო, თუ რამდენად შეესაბამებოდა ეს სინამდვილეს. მერე ჩვენ ცხინვალის საავადმყოფოში მოვხვდით, რომელიც მართლაც იყო ქართული მხრიდან ცეცხლის დაშენის სამიზნე, მაგრამ **რაც შეეხება დაღუპულთა მონაცემებს, იმ მომენტისთვის ძალიან კარგად მახსოვს, რომ მათ ჰქონდათ მონაცემები 44 მოკლულზე. მათ შორის იყვნენ არა მხოლოდ სამოქალაქო პირები, არამედ — ოსი მოლაშქრეებიც.** ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, იყო ჩვენი პირველი დიდი აღმოჩენა, რომლის მიწოდებაც ფართო საზოგადოებისთვის გვინდოდა, რადგანაც ეს ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია იყო. ამის გამო „ჰიუმან რაითს ვოტჩი" რუსეთის მხრიდან მომენტალურად გახდა მკაცრი კრიტიკის სამიზნე. **ომის დამთავრების შემდეგ, რუსეთის საგამოძიებო კომიტეტმა დაითვალა დაღუპულები და მათი რაოდენობა 159 აღმოჩნდა, ბუნებრივია, არანაირი ათასობით დაღუპულის ხსენება არ იყო.** რასაკვირველია, ნებისმიერი ადამიანის სიცოცხლის დაკარგვა ტრაგედიაა, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ ეს საშინელი ციფრები, რომელსაც საგამოძიებო კომიტეტი ომის დროს ახმოვანებდა, საპასუხო რეპრესიებს იწვევდა.

მე კარგად მახსოვს, **როცა ჩვენ სამხრეთ ოსეთში და მერე ცხინვალში ჩავედით, ოსების რეაქციაც ასეთი იყო. ისინი გაიძახოდნენ: როგორ, თქვენ არ გსმენიათ ის, რასაც რუსეთის პირველი არხით ამბობდნენ ქართველების მიერ ორი ათასი ჩვენი ადამიანის მოკვლის შესახებ?! ამის საპასუხოდ იწყებოდა ქართული სოფლების დარბევა და იქ მართლაც საშინელი ამბები ხდებოდა.** სახლებიდან გამოგდებული ადამიანები კი უკან დღემდე ვერ დაბრუნებულან. როცა რუსეთმა საქართველოს ნაწილი საბოლოოდ დაიპყრო, იმ ტერიტორიაზე ცუდი მოვლენები მაინც ვითარდებოდა... ჩვენს გამგზავრებას ცხადი მიზანი ჰქონდა: ჩვენ ადამიანის უფლებების დარღვევას ვადგენდით როგორც ერთი მხრიდან, ასევე მეორე მხრიდან და ამას ვადოკუმენტირებდით. პარალელურად ორგანიზაციის ორი გუნდი მუშაობდა როგორც საქართველოს მხრიდან, ასევე ოსეთის მხრიდან. მე ჯერ ვმუშაობდი იმ შემადგენლობაში, რომელიც ასე ვთქვათ, ოსეთში მუშაობდა და მერე იქ, რომელიც — საქართველოში და ამიტომ, ვთვლი, რომ საკმაოდ კარგი საშუალება მქონდა იმის დასანახად, თუ რა ხდებოდა რეალურად. ეს ყველაფერი ჩვენს მოხსენებაში აღვწერე. ჩვენ ამ მოვლენებს ყურადღებას მათი შედეგების კვალდაკვალ ვადევნებდით და ვაქვეყნებდით ანგარიშებს, სადაც დარღვევები კონკრეტულად იყო აღწერილი. ჩვენ, რასაკვირველია, აღვწერდით საკმაოდ სერიოზულ ნგრევას ცხინვალში და რამდენიმე მომიჯნავე სოფელში. საქართველოს მხრიდან ცხვინვალს ცეცხლს უშენდნენ არა შერჩევითი წესით, არამედ „გრადით", რომლის გამოყენება აკრძალულია დასახლებულ რაიონებში, რადგანაც იარაღი ერთმანეთისგან ვერ არჩევს სამოქალაქო მოსახლეობასა და კომბატანტებს. ასევე იყო უკანონო დაკავებების შემთხვევები, რამდენადაც მახსოვს — ოცი უკანონო დაკავება საქართველოს ხელისუფლების მხრიდან.

**— ომის დროს რას ნიშნავს ცნება „უკანონო დაკავება"?**

— არა აქვს მნიშვნელობა უკანონოდ ვინ, სად და როდის დააკავეს. ოსეთში ყოფნისას ძალიან რთული იყო იმის გარკვევა, ვინ იყო სამხედრო და ვინ — არა იმის გამო, რომ ბევრი მოხალისე და მოლაშქრე იყო. მაგრამ გატაცებები, დაკავება, როგორც ქმედება, იყო უკანონო. ალბათ, იყო კანონიერი დაკავებებიც, მაგრამ ეს არ იყო ჩვენი სამუშაოს ფოკუსი. რაც შეეხება იარაღის გამოყენებას — ყველაზე შემაშფოთებელი ის იყო, რომ ორივე მხარე იყენებდა კასეტურ შეიარაღებას, რამაც მსხვერპლი გამოიწვია როგორც გამოყენების მომენტში, ასევე მერეც. კარგად მახსოვს, როცა უკვე საქართველოში ვმუშაობდით, ხშირად ვაწყდებოდით ისეთ სიტუაციებს, როცა აუფეთქებელი ყუმბარები, კასეტური ბომბები და დატოვებული ტყვია-წამლის მარაგი ადამიანებს მას მერე კლავდა, რაც მათ სახლებსა და მინდვრებში პოულობდნენ. რასაკვირველია, ჩვენ აღვნუსხავდით საერთაშორისო სამართლის დარღვევის უამრავ შემთხვევას როგორც რუსული მხრიდან, ასევე, უპირველესად, ოსი მოლაშქრეების მხრიდან იმ მომენტში რუსეთის ხელისუფლების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე. აქ საუბარი მიდის არა მარტო იმ ოსი მოლაშქრეების პასუხისმგებლობაზე, ვინც ქურდავდა, კლავდა, სახლებს წვავდა, ქალებს აუპატიურებდა, არამედ იმ რუსული შეიარაღებული ძალების პასუხიმგებლობაზე, რუსი ე.წ. მშვიდობისმყოფელების ჩათვლით, რომლებიც ტერიტორიას აკონტროლებდნენ და რომლებსაც ამგვარი საკითხები უნდა მოეგვარებინათ და მოეხდინათ ძალადობის პრევენცია. მე ვმუშაობდი იმ ოკუპირებულ ზონაში და რასაც იქ ვხედავდით, დაშვებულის არანაირ საზღვრებში არ ჯდებოდა. ამ საკითხებზე კი რუსებთან და ოსებთან საუბარს არანაირი აზრი ჰქონდა, თუმცა ჩვენ არც ისე ხშირად ვხედავდით შემთხვევებს, როცა რუსეთის ძალები პირდაპირ მონაწილეობდნენ ძარცვაში, მაროდიორობაში, მკვლელობაში. ეს ხდებოდა რუსული ძალების ცხვირწინ და რუსული ჯარების სადგომიდან 10 კმ-ში, მშვიდობისმყოფელების ბლოგპოსტებთან და თავის მოკატუნება, რომ ისინი ამას ვერ ხედავდნენ და არ იცოდნენ რა ხდებოდა, იყო სრულიად არასერიოზული, მეტსაც ვიტყვი: ჩვენ ამ ინციდენტების შესახებ მათთვის არაერთხელ თავად შეგვიტყობინებია.

**— როგორ იქცეოდნენ „მშვიდობისმყოფლები"?**

— ვერ ვიტყვი, რომ ჩვენ მათთან ბევრჯერ გვქონდა კონტაქტი, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ მშვიდობისმყოფლების ბლოგპოსტები ძალიან მცირედ ერეოდნენ სიტუაციაში. ჩემი აზრით, ისინი ნებას რთავდნენ ოს მოლაშქრეებს, ეკეთებინათ ის, რასაც ისინი ქართულ სოფლებში აკეთებდნენ, განსაკუთრებით კი — საზღვარზე. რუსების მოვალეობა იყო მათ მიერ კონტროლირებად/ოკუპირებულ ტერიტორიაზე კრიმინოგენური სიტუაცია ეკონტროლებინათ და მართლწესრიგი დაეცვათ. მაგრამ ეს ასე არ ხდებოდა. მართლწესრიგი არ იყო დაცული არც რუსული შენაერთების რეგულარული ჯარებით, არც პოლიციით და არც მშვიდობისმყოფლებით, შემიძლია მოვიყვანო ერთი უბრალო მაგალითი: როცა რაღაც მომენტში ოსურმა ხელისუფლებამ ჩემი და ჩემი კოლეგის დაკავება გადაწყვიტა, ჩვენ სამოქალაქონომრიანი მანქანებით წაგვიყვანეს საქართველოდან ოსეთისკენ რუსული მშვიდობისმყოფელების ბლოგპოსტის გავლით. მანქანა არ გააჩერეს, არ შეამოწმეს. არადა, მანქანში იჯდა ორი ადამიანი, რომლებსაც ეტყობოდათ, რომ ისინი თავისი ნებით არ ისხდნენ იქ. მე დარწმუნებული ვარ, რომ სხვებიც ამგვარად იყვნენ გატაცებული და მშვიდობისმყოფელებმა ასევე მშვიდობიანად გაუშვეს ასეთი მანქანები ამ ბლოგპოსტებზე: არც საბუთებს კითხულობდნენ, საჭესთან შეიარაღებელი ადამიანები და მანქანაში უკან ორი ადამიანი იჯდა, რომლებსაც აშკარად არაიქაური გარეგნობა ჰქონდათ. წესით, რუსული ბლოგპოსტი უნდა დაინტერესებულიყო, ვინ ვიყავით, სად, როგორ, რატომ მივდიოდით. ოსეთის საზღვარზე მაროდიორებმა მანქანები და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა მოიპარეს. ჩვენ მაშინვე გავიგეთ ამის შესახებ და მათ სასწრაფოდ ვაცნობეთ ეს ამბავი. არადა, მათ ჩარევის ყველა საშუალება ჰქონდათ და შეეძლოთ ამ მაროდიორობის აღკვეთა. და ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ მათ ჩაურევლად იყო ხელმძღვანელობის პოლიტიკური გათვლა. ამგვარი რამ ხშირად ხდებოდა გორის ჩრდილოეთით და ოსურ საზღვარზე.

**— მათი არჩარევა ბუნებრივი რამ იყო. ისინი თავად მაროდიორობდნენ ოპერაციის „პრინუჟდენიე კ მირუ"-ს ფარგლებში. და ზოგადად, ეს რაიმე ახალი „ტერმინია" საომარ მოქმედებებში? ასე ვთქვათ „მშვიდობის ომით იძულება"?**

— ამ ტერმინს არავითარი იურიდიული თუ სამხედრო განმარტება არა აქვს. ეს იგივეა, რაც ოპერაციის სახელწოდება „ქარიშხალი უდაბნოში" ან სხვა რამ. ჩვეულებრივი სახელწოდებაა, რომელსაც სამხედროები ოპერაციას აძლევენ — სიმბოლური და არა სხვა რაიმე დატვირთვის მატარებელი. ეს ოპერაცია რუსეთმა წამოიწყო, როგორც თავად ამბობს, ქართული ძალების მიერ ცხინვალის დაბომბვის საპასუხოდ. გასაგებია, რომ ეს კონფლიქტი მწიფდებოდა და მწიფდებოდა განსაკუთრებით დიდი ხნის განმავლობაში, მაგრამ ჩვენი ამოცანა არაა იმის გარკვევა, ვინ და რატომ დაიწყო ეს ომი. ჩვენ ძალიან მკაცრად გამოვხატავთ ჩვენს პრინციპულ პოზიციას იმაში, რომ ჩვენ არ ვაკომენტარებთ, არ ვიკვლევთ შეიარაღებული კონფლიქტების წარმოქმნის ლეგალურობას. ჩვენ ვიკვლევთ ჰუმანიტარული სამართლის დარღვევას ორივე მხრიდან და ეს არის ის, რასაც ჩვენ ვაკეთებდით საქართველოში. ჩვენ ვცდილობთ ჩვენი ობიექტურობის შენარჩუნებას და სიტუაციის შესწავლაში ამგვარად შეგვაქვს ჩვენი წვლილი.

**— ამბობდნენ, ამა თუ იმ მხარემ არაპროპორციული ძალა გამოიყენაო...არსებობს კი კრიტერიუმი, თუ რა სახის ძალა შეიძლება იყოს გამოყენებული, მაგალითად, თავდაცვის დროს და რა სახის ძალაა დისპროპორციული? განსაკუთრებით, როცა თემა ეხება ადამიანის უფლებების დაცვას/ადამიანის უსაფრთხოებას, სიცოცხლეს?**

— რასაკვირველია, არსებობს კრიტერიუმი. ეს კრიტერიუმი დაფიქსირებულია ჟენევის კონვენციაში და მის კომენტარებში, ძირითადი კრიტერიუმი კი ისაა, რომ დაპირისპირებული მხარეები ერთმანეთს უნდა ებრძოლონ, მაგრამ არა სამოქალაქო მოსახლეობას. მთავარი კრიტერიუმი არის სამოქალაქო მოსახლეობის გამიჯვნა, მოქალაქეებისა და კომბატანტების გამოყოფა, ანუ იმათი, ვინც უშუალო მონაწილეობას იღებს ან არ იღებს ომში. აკრძალულია როგორც პირდაპირი თავდასხმა სამოქალაქო მოსახლეობაზე, ასევე სამოქალაქო ობიექტებზე, ასევე ომის წარმოების იმ ელემენტების მოხმარება, რომელიც არ გაყოფს არაკომბატანტსა და კომბატანტს. ეს გულისხმობს, როგორც არაშერჩევით თავდასხმას, ასევე არაპროპორციულ ძალას. არაშერჩევითი — ეს საკმაოდ დიდი კატეგორიაა და მას, მაგალითად, განეკუთვნება სარაკეტო დანადგარი „გრადი", რომელსაც იყენებდა არა მხოლოდ რუსეთი, არამედ — საქართველოც. როცა საქართველო ცხინვალს ბომბავდა „გრადის" ტიპის რაკეტებით, ეს არის არაშერჩევითი ცეცხლის დაშენა, რადგანაც ერთ ჯერზე იწარმოებოდა 40 გასროლა და ამდენი გასროლა რაიმე კონკრეტულ სამხედრო ობიექტს მიემიზნოს, ეს უბრალოდ ფიზიკურად შეუძლებელია. ამიტომ ესაა არაშერჩევითი ცეცხლის დაშენის ნათელი მაგალითი. რაც შეეხება არაპროპორციული ძალის გამოყენებას, აქ კრიტერიუმების საკითხი უფრო რთულადაა. საკითხი ეხება იმას, რომ საომარი მოქმედებების დროს ნებისმიერი ცეცხლის დაშენა უნდა იძლეოდეს პროპორციულ, თანაზომად, პროგნოზირებად სამხედრო ეფექტს, ანუ პრინციპში, ომის დროს ვერ იმოქმედებს კანონი, რომელიც სრულად კრძალავს სამოქალაქო მოსახლეობის მოკვლას. ასეთი რამ, უბრალოდ, ვერ მოხერხდება. გასაგებია ისიც, რომ ასეთ შემთხვევაში ჟენევის კონვენცია, ჰუმანიტარული სამართლის სხვა ინსტრუმენტები უნდა მოქმედებდეს და ისიც გასაგებია, რომ ომის შედეგად იღუპება სამოქალაქო მოსახლეობა და ამას ვერაფერს მოვუხერხებთ. სამოქალაქო ობიექტებიც შეიძლება დაინგრეს და ეს გარდაუვალი რამაა, მაგრამ საკითხი ასე დგას: რამდენადაა ეს მოქმედება ლეგალური და სამოქალაქო პირთა შორის მსხვერპლი მინიმიზებული. სწორედ იერიშის მიმტანების პასუხიმგებლობაა მსხვერპლის მინიმიზება მოახდინოს და ყოველ ჯერზე, იერიშის თუ ცეცხლის დაშენის დროს ეს სამხედრო პირების მხრიდან უნდა გაანალიზდეს სამოქალაქო მოსახლეობის მსხვერპლთა პოტენციურ რაოდენობასთან შედარებით. სამწუხაროდ, ომის დროს არ არსებობს მკაცრი პრინციპი იმისა, რომ ომში ჩართულებს სრულად ჰქონდეთ გათავისებული ვალდებულება იმისა, რომ თავი უნდა აარიდონ სამოქალაქო მოსახლეობის დაღუპვას. არადა, მათ ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისთვის, რომ მსხვერპლის მინიმილიზება მოხდეს. რუსეთ-საქართველოს ომში, პრაქტიკულად არც ერთი და არც მეორე მხარე ყოველთვის არ ასრულებდა ამას. კერძოდ კი, სარაკეტო კომპლექსი „გრადის", კასეტური ბომბების გამოყენება ამის ნათელი მაგალითია. ისინი აკრძალულია საერთაშორისო სამართლით, თუმცა, მაშინ არც რუსეთს ჰქონდა ეს კონვენცია რატიფიცირებული და არც საქართველოს.

**— თუნდაც ომის ტერმინოლოგიაში ადამიანების მოკვლის ლეგიტიმური თუ არალეგიტიმური უფლება ძალიან ცუდად ხვდება ყურს.**

— ნებისმიერ შეიარაღებულ კონფლიქტში ეს ტერმინოლოგია გამოიყენება და როცა დაკონკრეტებაზეა საუბარი, აქ უკვე საბრძოლო მოქმედებების მასშტაბები კონკრეტდება. გვქონია შემთხვევები,როცა დაგვითვლია, რომ ოც ლეგიტიმურ იერიშზე ერთი არალეგიტიმური მოდიოდა. ანდა, ზოგჯერ სრულიად ნათელია, რომ შეიარაღებული ძალების უფროსობა არანირ ყურადღებას აქცევს ამას და გამოდის, რომ ნებისმიერი იერიში არაპროპორციულია. შემიძლია, მოვიყვანო ასეთი მაგალითი, როცა პაკისტანის ჩრდილოეთში ვმუშაობდი. პაკისტანის ჯარი თალიბანის წინააღმდეგ პროვინცია სვატში ოპერაციას ატარებდა, გამოძიების შედეგად, „ჰიუმან რაითს ვოტჩმა" გადაწყვიტა, რომ არ გამოექვეყნებინა ანგარიში, რადგანაც ამ ოპერაციის დროს ჩვენ ვერ ვიპოვეთ ჰუმანიტარული სამართლის დარღვევის სერიოზული შემთხვევები. იყო მცირე მომენტები, მაგრამ სხადასხვა ფაქტის გათვალისწინებით ნამდვილად იყო დაცული ჰუმანიტარული სამართალი. „იდეალური ომი" არ არსებობს, მაგრამ რასაც ჩვენ ვაანალიზებდით იმ მასალაზე დაყრდნობით, ასე თუ ისე საომარი მოქმედებები კანონიერად მიმდინარეობდა.

**— როგორც ამბობენ, ომი ომია...**

— საკითხი ეხება ომის მასშტაბებს, ხარისხს, მეომარი მხარეების მიზნებსა და მათ გადაწყვეტილებებს. რაც ჩვენ ყველაზე მეტად გვაღელვებს, ისაა, რომ ორივე მხარის ხელმძღვანელობამ თავისი მოვალეობა შეასრულოს და სამოქალაქო მოსახლეობა დაიცვას. როცა ცეცხლის დაშენა არაშერჩევითად დასახლებულ ადგილები, მათ შორის საავადმყოფოზე და სკოლებზე მიდის, რასაკვირველია, სამოქალაქო ობიექტები, სახლები ინგრევა და უდანაშაულო ადამიანები იღუპებიან.

**— როცა ასეთი შეიარაღებული და მრავალრიცხოვანი „მახინა" თავს გესხმის, ალბათ, დამერწმუნებით, იქ თავდაცვის უფლებამ შეიძლება ვერ „მოზომოს" თავდაცვის ლიმიტები.**

— რასაკვირველია, თავდამცველს აქვს ძალის გამოყენების უფლება და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი თავდაცვაზე უფლებას აღიარებს, თუმცა, საქმეც ისაა, რომ ეს უფლება არაფრით გადახაზავს და უგულებელყოფს ჰუმანიტარული სამართლის მოთხოვნას, ანუ თქვენ თუ თავს იცავთ, თქვენ მაინც არა გაქვთ უფლება დაარღვიოთ ჟენევის კონვენცია, სასტიკად მოეპყროთ ტყვეებს, თავს დაესხათ მათ, მაროდიორობის აქტები ჩაიდინოთ და ა,შ. დიახ, არსებობს თავდაცვის უფლება, მაგრამ ეს უფლება არ ივიწყებს ჟენევის კონვენციას.

ამ კონფლიქტის დროს საქართველოს ადგილას არ გამოვიყენებდი ტერმინს „თავდაცვის უფლება", რადგანაც ეს არის ის, რასაც რუსეთი იყენებს. თუმცა, ეს არაა ჩვენი საქმე. ბევრი იმსჯელეს იმაზე, რომ საომარი მოქმედებები დაიწყო საქართველოს მხრიდან თუ რუსეთის მხრიდან მასშტაბური შეტევით და გასაგებია, რომ უამრავი ინციდენტი იყო საზღვარზე, მათ შორის 2008-ის გაზაფხულზეც, შეიძლება, ვიკამათოთ იმაზეც, პოლიტიკური თვალსაზრისით რამდენად ჰქონდა საქართველოს თავდაცვის უფლება.

**— თავდაცვის უფლება ეჭვის ქვეშ შეიძლება დადგეს?**

— ამაზე საუბარი ჩემი მიზანი არაა და არ დავიწყებ ამ თემის განხილვას, მაგრამ რუსეთი სწორედ ამ უფლებით ამართლებდა საქართველოზე თავდასხმას და ამბობდა, რომ მან სწორედ თავდაცვაზე უფლება გამოიყენა. რუსეთი იცავდა იმ ტერიტორიას, რომელსაც იგი თვლიდა იმ მომენტისთვის თავისად. კიდევ ერთხელ, მე არ ვეხები ძალის გამოყენების მიზანშეწონილობას, მაგრამ მაინც ვიტყვი: ოპერაცია „პრინუჟდენიე კ მირუ", რუსეთის მხრის აზრით, იყო საქართველოს მხრიდან ცხინვალის საკმაოდ მასშტაბური დაბომბვების პასუხი.

**— ანუ უფრო მარტივად: რუსეთი მეზობელი**

# „მნიშვნელოვანია იმის იყო ოსი ხალხის გენოციდი“...



**ქვეყნის ტერიტორიას თავისად თვლიდა და ამიტომაც დაიცვა, ანუ, ფაქტობრივად, რუსეთი საქართველოს მსხვერპლია.**

— ჰო, რუსეთი ასე თვლიდა. სხვა საკითხია ის, რომ ამ თავდაცვის საზღვრები იყო გადამეტებული, როცა რუსული ჯარები საქართველოს ტერიტორიაზე შევიდნენ და, ცხადია, რომ შევიდნენ და საქართველოს მნიშვნელოვანი ტერიტორია დაიპყრეს. გასაგებია, თავიდან თუ შევხედავთ, როგორ იწყებოდა ეს ომი, ვერ ვიტყვით, რომ საქართველოს მიერ ცხინვალისთვის, „გრადით“ ცეცხლის დაშენა ლეგიტიმური იყო.

**— პუტინმა განაცხადა, რომ მას საქართველოსთვის ჰქონდა წინასწარი „ზაგატოვკი“. ასე თუ ისე, ომის დასაწყებად რუსეთი სრულ მზადყოფნაში იყო. როგორ შეიძლება შეფასდეს მეზობელი ქვეყნის ლიდერის ამგვარი განცხადება?**

— არა, ჩვენ არ ვაფასებთ იმას, თუ ვინ, როგორ, რატომ დაიწყო საბრძოლო მოქმედებები. ეს არაა ჩვენი მიზანი. ჩვენი მიზანია, როცა საომარი მოქმედებები იწყება, გავარკვიოთ რომელი მხარე (თუ ორივე მხარე) არღვევს ჰუმანიტარულ სამართალს და როგორ. თავად ეს სიტყვები: „კონფლიქტი საზღვარზე“, „სადავო ტერიტორიები“ და ის, რომ ერთი მხარე აცხადებს თავის მზადყოფნას, ასე თუ ისე უპასუხოს შეჭრას — ეს რიტორიკაა. მე არ ვიცი, რას გულისხმობდა პუტინი ამაში და თავად ეს არავის უნდა ძაბავდეს, თუ ის კონკრეტულ მოქმედებებში არ გადაიზრდება. სახელმწიფოების ლიდერები რას არ ეუბნებიან ერთმანეთს... ის კი ცხადია, რომ რუსეთი მზად იყო დაეცვა ის, რასაც თავის ტერიტორიად თვლიდა, ლეგალურად თუ არალეგალურად — ეს სხვა საკითხია, მაგრამ რა მერე... გამიგეთ, ეს არაა ის საკითხი, რომელსაც ჩვენ ვსწავლობთ. ეს პოლიტიკოსების ამოცანაა და ორივე მხრიდან პოლიტიკურ სარჩულზე მოსაუბრეები ბევრია.. ჩვენი ამოცანა კი ამგვარ კონფლიქტებში ძალიან სპეციფიკურია. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რითაც ჩვენ ვართ დაკავებული. ჩვენთვის მთავარი იყო გვეთქვა, ვინ იყო დამნაშავე და ვისზეა პასუხისმგებლობა და რაგვარია ეს პასუხისმგებლობა.

**— თქვენ ორგანიზაციის ანგარიში საქართველოსა და რუსეთის პროკურატურაში გააგზავნეთ. როგორ იყო მათი რეაქცია?**

— საქართველოს მხარესთან ჩვენ უშუალოდ შეხვედრები გვქონდა, პარლამენტარებიც იყვნენ ჩართული ამ ანგარიშის განხილვაში. რაც შეეხება საქართველოს პროკურატურს, ეს საკითხი ჩვენს თანამშრომელს გიორგი გოგიას უკეთესად ეცოდინება. რაც შეეხება რუსეთის მხარეს, ანგარიშს არანაირი პასუხი მოჰყოლია და არც ვიცით დამნაშავეების დასასჯელად საერთოდ თუ რაიმე ზომები მიიღეს. ჩვენი დამსახურება კი ის იყო, რომ მსხვერპლთა რეალური რაოდენობა გავარკვიეთ. **ჩვენ თავიდან ვამბობდით, რომ რუსეთის მხარე ოს მსხვერპლთა რაოდენობას კოლოსალურად აზვიადებდა, ამიტომ რუსეთის საგამოძიებო კომიტეტს ვაწვდიდით ინფორმაციას, რომ ეს არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. ბოლოს და ბოლოს კი იმას მივაღწიეთ, რომ რუსეთის საგამოძიებო კომიტეტის მასალების მონაცემები მიახლოებული იყო იმ ციფრებთან, რომელიც ჩვენ გვქონდა მოპოვებული. მე ვფიქრობ, რომ ეს ძალიან მნიშველოვანი რამ იყო. არა იმიტომ, რომ ამ ადამიანების დაღუპვა არაა მნიშვნელოვანი, არამედ იმიტომ, რომ ეს ისტორიული სიმართლის აღსადგენად და ამ რეგიონის მომავლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც მნიშვნელოვანია იმის გაგება, რომ ეს არ იყო ოსი ხალხის გენოციდი, და ყვირილი ამის შესახებ მხოლოდ შუღლის გაღვივებას ემსახურებოდა. არ იყო არანაირი გენოციდი. იყო გარკვეული დარღვევები, ტრაგიკული; ადამიანების უკანონო დაკავება, მკვლელობა. მაგრამ ტერმინ „გენოციდის“ გამოყენება, როგორც მინიმუმი, უპასუხისმგებლობაა.**

**— კონკრეტულად რას ელოდით ორივე ქვეყნის პროკურატურისგან?**

— მათ უნდა გამოეძინებინათ ამა თუ იმ მხარის კონკრეტული საომარი დანაშაულები კონკრეტული პიროვნებების მიმართ. ვიღაც იძლეოდა ბრძანებას „გრადით“ ცეცხლის გახსნაზე, ვიღაც იძლეობდა ბრძანებას კასეტური იარაღის გამოყენებაზე, ვიღაც რუს მშვიდობისმყოფლებს ხელმძღვანელობდა, ვიღაც რუსთა ჯარებს, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიებს აკონტროლებდნენ და ნებას აძლევდნენ ოს მაროდიორებს ეკეთებინათ ის, რასაც ისინი აკეთებდნენ, ვიღაც აუპატიურებდა. ყველა ამ დანაშაულს სრულიად კონკრეტული შემსრულებელი ჰყავს და იმის გათვალისწინებით, რომ საუბარია რეგულარულ არმიაზე, რუსული და ქართული მხრიდან (თუ არ ჩავთვლით ოსურ ლაშქარს), შენაერთებს ჰყავთ ძალიან კონკრეტული მეთაურები, რომლებიც ამ ბრძანებებს გასცემდნენ და ამიტომაც ეს უნდა იყოს გამოძიებული რუსული და ქართული მხარის მიერ და დამნაშავეები პასუხისგებაში მიცემული. შემთხვევითი არაა, რომ დაზარალებულებმა ევროსასამართლოს მიმართეს. ეს კი იმით იყო განპირობებული, რომ არც ერთმა მხარემ ეფექტიანი გამოძიება არ ჩაატარა.

**— ევროსასამართლო თქვენს კვლევას დაეყრდნო?**

— ევროსასამართლო, რასაკვირველია, თავის სასამართლო გამოძიებას ატარებს, რომელიც მთლიანად არ ეყრდნობა ჩვენს კვლევას, თუმცაღა ხშირად ევროსასამართლო ჩვენს მიერ შეგროვილ მასალებსაც იყენებს, ან იმ მასალებს, რომელიც უკვე გამოქვეყნებულია. ანდა თუ მათ უნდათ რაიმე დამატებითი მასალა, როგორც წესი, არა პირდაპირ, არამედ ადვოკატებისა და სხვა ორგანიზაციების მხრიდან წარადგენენ მოსარჩელეს ინტერესებს ევროსასამართლოში და ასე თუ სხვაგვარად ჩვენი მასალები სასამართლოში მიდის.

**— თქვენ ახსენეთ გაუპატიურება. პროკურატურამ რა გააკეთა მოძალადეების გამოსავლენად?**

**— იყო გაუპატიურების რამდენიმე შემთხვევა და კონკრეტულად ოსი მოლაშქრეების მხრიდან, ჩვენც აღვნუსხეთ ამგვარი ფაქტები.** მაგრამ ჩემთვის არაა ცნობილი ამ შემთხვევების გამოძიების შესახებ, ისევე როგორც სხვა დანაშაულების გამოძიების შესახებ: მკვლელობები, მაროდიორობა. ომი არაა ამ დანაშაულების ჩადენის არგუმენტი, რადგანაც ომია თუ სხვა რამ, არა აქვს მნიშვნელობა იმას, სად ხდება სამართალდარღვევა. ასეთ შემთხვევაში როგორც აღვნიშნე, პასუხისმგებლობა აწევს როგორც უშუალო შემსრულებლებს, ამ შემთხვევაში ოს მოლაშქრეებს, ასევე რუსეთის ხელისუფლებას, რომელიც ამ ტერიტორიას აკონტროლებდა, ანუ სწორედ მათ უნდა განეხორციელებინათ იქ კანონი და მართლწესრიგი. ჩემთვის არაა ცნობლი ამ შემთხვევების გამოძიების შესახებ, ანუ ოსური ან რუსული მხრიდან. მე მგონი, საერთოდ არანაირი გამოძიება არც ჩატარებულა.

**— თქვენ ამბობთ, რომ ოკუპანტ ჯარებს ოკუპირებული ტერიტორიის უსაფრთხოება უნდა დაეცვათ. ეკონტროლებინათ. რა მდგომარეობა იყო ომის შემდეგ? ჰქონდა მონიტორინგი თქვენს ორგანიზაციას? როგორი მდგომარეობა იყო უსაფრთხოების მხრივ? გასაგებია ამ ომის დროს თითქოსდა რა უსაფრთხოებაზე შეიძლება ისაუბრო. მაგრამ მაინც: თუნდაც პოსტკონფლიქტურ პერიოდში როგორი იყო იგი?**

— რთულია ამაზე საუბარი. კონფლიქტის კვირასა და შემდეგ მინიმუმ ერთი თვე ჩვენ უსაფრთხოების მდგომარეობას პოსტკონფლიქტურ სიტუაციაში ვაკვირდებოდით და უშუალოდ კონფლიქტის მერეც, როცა ჯერ კიდევ ომი გრძელდებოდა და რაც აღვწერე ჩემს ანგარიშში მოკლედ, ნიშნავდა იმას, რომ სიტუაცია უსაფრთხოების მხრივ იყო ცუდი. რაც შეეხება ამ პერიოდის შემდგომ პერიოდს, ჩემთვის რთულია ამაზე საუბარი. როგორც ვიცი, სიტუაცია ოდნავ უკეთესი გახდა, არ იყო მასობრივი მკვლელობა და ძარცვა. თუმცა, ამავე დროს, პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ ის დევნილები, რომლებიც იქიდან გაიქცნენ, უკან სახლებში ვერ დაბრუნდნენ. და ეს სიტუაცია ახლაც გრძელდება. ძალიან ბევრმა მიატოვა მაშინ თავისი სახლები. არ ვიცი დაბრუნდნენ თუ არა უკან ადამიანები, მაგრამ ჩვენი შეფასებით ეს უსაფრთხოების მდგომარეობის მნიშვნელოვანი ინდიკატორი იქნებოდა. თუ ადამიანებს არ შეუძლიათ უკან დაბრუნება, ეს ნიშნავს, რომ საზღვარზე და ოსეთთან მომიჯნავე სოფლებთან არასაკმარისადაა უსაფრთხოება დაცული.

**— ჰუმანიტარული უფლებები ქონებრივ უფლებებს მოიცავს? მაგალითად, სახლები, რომლებიც ახლა ცარიელია და ისინი იმ ადამიანებმა დაიკავეს, ვისაც იქ ცხოვრება არც კანონით და არც მორალურად არ ეკუთვნით. ამ სახლებში „შესახლების“ პროცესს თვალს ადევნებთ?**

— რასაკვირველია, მოიცავს. ამ პროცესს ჩვენი კოლეგები აკვირდებიან.

**— მცოცავ ოკუპაციას აკვირდებით? როცა დამპყრობელი ლამის ყოველდღე მიწას „იპარავს“ყოველგვარი ომის გარეშე, მავთულხლართების გაბმა-გადაადგილებით, ანუ მცოცავი ოკუპაციით?**

— ოკუპაციის საკითხი ჩვენს კომპეტენციაში არ შედის, მაგრამ ოკუპანტი ძალის ქცევა — კი. რამდენადაც ვიცი, ჩვენ მავთულხლართების თემით არ დავინტერესებულვართ. არ ვიცი, როგორ და კონკრეტულად რა მოხდა და ვერ გიპასუხებთ.

**— ჰო, მაგრამ მავთულხლართი ისე გაავლეს რუსებმა, რომ ეზოს ერთ ნაწილში საცხოვრებელი სახლი მოხვდა, მეორეში ამ სახლის დამხმარე ნაგებობები. ესეც ხომ ქონების უფლების დარღვევაა?**

— რასაკვირველია.

**— როცა უცხო ქვეყანაში ჩადიხართ, როგორ იწყებთ მუშაობას?**

— მაგალითად, საქართველოში პრობლემა არ გვქონია, რადგანაც გიორგი გოგია საქართველოზე მუშაობს და არც მძღოლისა და თარჯიმნის პრობლემა შეგვქმნია. ოსეთში კი სხვა სიტუაცია იყო. იქ არანაირი კავშირები არ გვქონდა. და ნულიდან დავიწყეთ. თუმცა, უცხო გარემოში ვცდილობთ მოვიძიოთ საკონტაქტო პირი. ეს შეიძლება იყოს ადგილობრივი ჟურნალისტი ან მღვდელი ანდა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ან უფლებადამცველი, თუ ასეთი არსებობს. როგორც წესი, ჩვენი ანგარიში 95 პროცენტით ჩვენივე თანამშრომლების მიერ შეგროვებული ინფორმაციაა, თუმცა ადგილობრივებთანაც აქტიურად ვმუშაობთ.

**— რუსეთმა მიიღო კანონი „უცხოელი აგენტების“ შესახებ, რამაც ბევრ საერთაშორისო, განსაკუთრებით უფლებადამცველ ორგანიზაციას პრობლემები უკვე შეუქმნა.**

— ჯერჯერობით ჩვენი ორგანიზაციისთვის სერიოზული ბარიერები არ შეუქმნიათ, მაგრამ უკვე იყო მუქარები ჩვენი თანამშრომლების მიმართ. შემოწმებები, ძირითადად დოკუმენტების შემოწმება და დარეგისტრირების წესის კონტროლი. არაერთმა ორგანიზაციამ გაფრთხილება მიიღო და ბევრს ჯარიმები დაუწესეს. ბოლოს წელს მდგომარეობა გაუარესდა.

**—არ შემიძლია, არ გკითხოთ სოჭის ოლიმპიადის შესახებ. პარიზში „ამნესტი ინტერნეიშენალმა“ რუსეთის საელჩოს წინ სოჭის ოლიმპიადა გააპროტესტა. თანაც ის ანტიგეი კანონი, რომელიც პუტინმა მიიღო, მსოფლიოში აღშოთების საგანი გახდა. Human Rights Watch-ის პოზიცია როგორია?**

— მაგალითად, ინგლისმა განაცხადა, რომ ბოიკოტი მეთოდი არაა. ჩვენ არ ვართ ბოიკოტის მომხრე, გვინდა ოლიმპიადა იმისთვის გამოვიყენოთ, რომ რუსეთში ადამიანის უფლებების შელახვის საკითხი დავაყენოთ. კერძოდ კი უმცირესობათა დისკრიმინაციის თემაც და სხვა საკითხებიც: ეს არის სამოქალაქო სექტორზე, ჟურნალისტებზე თავდასხმები, სიტყვისა და შეკრების თავისუფლების შეზღუდვა და ა.შ. მოველით ოლიმპიადაში მონაწილე ქვეყნების რეაგირებას ამ დარღვევებზე და მათგან კრემლისკენ იმის მკაცრი სიგნალის გაშვებას, რომ ამგვარი დისკრიმინაციული მოქმედება დაუშვებელია. ჩვენ არ ვუჭერთ მხარს ბოიკოტს იმის გამო, რომ ბოიკოტი ოლიმპიური მოძრაობის პოლიტიზაციის მცდელობა იქნებოდა. ჩვენი პოზიცია ასეთია: ორგანიზაცია ადამიანის უფლებების საკითხის აქტუალიზებისთვის სოჭის ოლიმპიადას გამოიყენებს.

**— ეს ოლიმპიადა იმთავითვე პოლიტიზებულია, რადგანაც სოჭი ოლიმპიურ დედაქალაქად პუტინის დაჟინებული ლობირებით „გავიდა“. რაც შეეხება მის გამოყენებას, პუტინმა ჩინეთში ოლიმპიადის დროს დამდგარი „სიმშვიდე“ საქართველოზე თავდასხმისთვის გამოიყენა. ასე რომ, ვინ ვის იყენებს, აქ ერთმნიშვნელოვნად ცხადია. არა?**

— გასაგებია თქვენი პოზიცია. მაგრამ ჩინეთში ოლიმპიადის დროს ჩინეთის სამოქალაქო სექტორს ოდნავი ამოსუნთქვის საშუალება მიეცა, რათა ცოტა ხნით მაინც იმ წნეხისგან გათავისუფლებულიყო. ამიტომ ჩვენ არ ვიზიარებთ ბოიკოტის იდეას.

**— ანა, თქვენ სირიაში მუშაობდით და თან თქვენ არა გაქვთ სამხედრო მომზადება. ქალი ასეთ კონფლიქტურ სიტუაციაში — ომში, რა ფენომენია? ქალი რისკის ქვეშაა, თუნდაც შესაძლო გაუპატიურების გამო...**

— მე არ მინდა, პარადოქსულად ვჟღერდე, მაგრამ ვთვლი, რომ ქალისთვის ასეთ სიტუაციაში მუშაობა უფრო ადვილია, ვიდრე — კაცისთვის. ქალი ნაკლებ ეჭვს იწვევს და ბევრ შემთხვევაში მისთვის უფრო ადვილია მოხვდეს იმ ადგილებში, სადაც მისაწვდომლობა აკრძალულია. ქალებს ბლოკპოსტებზე არ აჩერებენ და ბევრ სიტუაციაში ქალისადმი დამოკიდებულება ნაკლებად საეჭვოა. ამას გარდა მეჩვენება, რომ ჩემი კოლეგა მამაკაცები სირიაში იმ ინტერვიუებს ვერ გააკეთბდნენ, რასაც მე ვაკეთებდი, ანუ იმ ქალებს ვერ დაელაპარაკებოდნენ, ვინც სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გახდა. ქალები ისეთ კონსერვატულ ქვეყნებში, როგორიც სირიაა, მით უმეტს ამ თემებთან დაკავშირებით, მამაკაცებთან ურთიერთობისთვის მზად არ არიან.

**— თუმცაღა, მაგალითად, ეგვიპტეში ჟურნალისტი სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გახდა.**

— ჰო, ესეც არაა გამორიცხული და ეს ხაზს უსვამს, რომ ქალები უფრო მოწყვლადი არიან და ეს, ასე ვთქვათ, ჩვენი პროფესიის თანამდევი ხარვეზია. მაგრამ მაინც — მე ვგრძნობ, რომ ჩემი სქესი უფრო მეხმარება, ვიდრე ხელს მიშლის.

**— ეს ორგანიზაციის პოლიტიკაა თუ სირიაში თქვენი ინიციატივით წახვედით?**

—გენდერული დაყოფა ჩვენთან არაა. მიდის ის, ვინც ყველაზე მეტად ესადაგება დასახულ ამოცანებს. ორგანიზაციის განსაკუთრებული სიტუაციების განყოფილებაში იმ მომენტისთვის ერთი ქალი მე ვიყავი (ახლა ორნი ვართ) და ამიტომაც მე გავეგმგზავრე. საერთოდ „ჰიუმან რაითს ვოთჩში“ მკვლევართაგან უფრო მეტი ქალი მუშაობს, ვიდრე კაცი. მართალი გითხრათ არასოდეს დამითვლია და ჩვენთანაც ხშირად საუბარი არ მიდის იმაზე, თუ ვის შორის გაკეთდეს არჩევანი — ქალსა თუ კაცს შორის? არის სიტუაციები, როცა ქალის გაგზავნა მდგომარეობის საკვლევად აუცილებელია, მაგალითად, როცა საქმე ეხება მუსლიმანურ, აფრიკულ, კონსერვატიულ ქვეყანაში. რადგანაც რამდენი მამაკაციც არ უნდა გავაგზავნოთ იქ, ისინი ვერ შეძლებენ იმ გამოკვლევების ჩატარებას, რომელიც ჩვენ გვჭირდება.



**ია მერკვილაძე,**
**ნიუ-იორკი, აშშ.**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# მოსკოვთან ურთიერთობის მოწესრიგებაში თბილისი გერმანიის დახმარებას ეძებს

**საქართველოს შერიგების საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი დაეხმარება ქვეყანას რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებაში**

**საქართველოს იმედი აქვს, რომ ევროკავშირ-რუსეთის სამიტის შემდეგ, რომელიც იანვრის ბოლოსთვისაა გათვალისწინებული, ევროპელი პარტნიორები ხელს შეუწყობენ მის დაახლოებას ევროკავშირთან, თავიდან აიცილებენ რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობათა ახალ გართულებებს. საქართველოს ხელმძღვანელობის აზრით, ამაში განსაკუთრებული როლის შესრულება გერმანიას შეუძლია.** ფსონს ჩადიან მოსკოვთან ბერლინის მტკიცე კავშირურთიერთობებზე, აგრეთვე იმაზე, რომ 2013 წლის დეკემბერში გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტს დაუბრუნდა ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი, რომელმაც უკვე წარმოაჩინა თავი ამიერკავკასიის მიმართულებით.



**— შტაინმაიერს საქართველოს საქმეებთან დაკავშირებით უნიკალური გამოცდილება აქვს, მან შესანიშნავად იცის სიტუაცია ჩვენს რეგიონში. ადრე, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე ყოფნის დროს (2005-2009 წლები), იგი ამზადებდა სამშვიდობო ინიციატივებს კონფლიქტების მოწესრიგებასთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, 2008 წლის ომმა საშუალება არ მოგვცა მათი განხორციელებისა, მაგრამ ამჟამად მისი დაბრუნება ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ეფექტიანად და შევეცადოთ, მოვახდინოთ მისი წინანდელი წინადადებების რეანიმირება,** — განაცხადა ჩვენთან საუბარში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორუფლებიანობის საკითხებში პაატა ზაქარეიშვილმა.

**2008 წლის ომამდე ცოტა ხნით ადრე გერმანელი პოლიტიკოსი ქართველ და აფხაზურ მხარეებს, აგრეთვე რუსეთის მაშინდელ პრეზიდენტს დიმიტრი მედვედევს სთავაზობდა მოწესრიგების თავის გეგმებს, რომლებსაც შტაინმაიერის გეგმა ეწოდებოდა. დოკუმენტი სამ საფეხურს გულისხმობდა: ქართველებისა და აფხაზების მიერ ხელშეკრულების ხელმოწერა ძალის გამოუყენებლობის შესახებ, აფხაზეთში ქართველ ლტოლვილთა დაბრუნებასთან ერთად. ამისთვის ერთი წელიწადი იყო გამოყოფილი. შემდეგ იგეგმებოდა რეგიონის ეკონომიკური რეაბილიტაცია.**

გერმანიის მთავრობა მზად იყო, მოეხდინა სახსრების შეკრების ინიცირება დონორი ქვეყნებისგან ამ საჭიროებისვის. დასკვნითი ეტაპი გულისხმობდა აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრას. ამჟამად იგი, როგორც სამხრეთი ოსეთიც, რუსეთის, ნიკარაგუის, ვენესუელის, ნაურუს რესპუბლიკისა და ტუვალუს მიერ აღიარებულია დამოუკიდებლად.

შტაინმაიერის გეგმის განხილვის დროს საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ „რუსეთის უწყვეტი პროვოკაციების წინაშე საქართველო არ იტყვის უარს ძალის გამოყენებაზე". ამ სიტყვებმა, შემდეგ კი შეიარაღებულმა კონფლიქტმაც, გერმანიის დიპლომატიის ძალისხმევა ნულამდე დაიყვანეს.

**— სავსებით შეიძლება ვიფიქროთ ამ გეგმის აღდგენაზე მის ორ პირველ საფეხურზე — ნდობის აღდგენის ზომებისა და საერთაშორისო საფინანსო დახმარების შესახებ,** — განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა.

**— ვარსკვლავები ამჯერად კეთილგანწყობით განლაგდნენ საქართველოსთვის — შტაინმაიერი ბრუნდება, 2014 წელს ეუთოს სათავეში ჩაუდგა შვეიცარია, რომელიც 2008 წლის ომის შემდეგ იყო შუამავალი რუსეთსა და საქართველოს შორის. ახლა კი ეს ყოველივე შეიძლება მაქსიმალურად რაციონალურად გამოვიყენოთ.**

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ თედო ჯაფარიძემ ჩვენს გაზეთს განუცხადა, რომ გერმანიისთვის, როგორც ევროკავშირის ლოკომოტივისთვის, სულ ერთი არაა სტაბილურობა ევროპის პერიფერიებში, ვინაიდან ევროკავშირს სტაბილური კავკასია სჭირდება.

**— მაგრამ იგი სტაბილური ვერ იქნება, სანამ რუსეთი არ მოაწესრიგებს ურთიერთობებს ყოფილი სსრ კავშირის ქვეყნებთან,** — მიაჩნია ჯაფარიძეს. **— ჩვენ ყველას ძალიან დაგვეხმარებოდა „შტაინმაიერის მეორე გეგმა", რომელიც ორიენტირებული იქნებოდა ევროკავშირის ახლო უცხოეთში უსაფრთხოების, სტაბილურობისა და ეკონომიკური განვითარების შენარჩუნებაზე პრინციპით — „რუსეთთან ერთად, მაგრამ არა მის წინააღმდეგ".**

მისი სიტყვებით, ასეთი წინადადებების რეალიზაციისთვის შეიძლებოდა მათში ჩაგვერთო, მაგალითად, „ვიშეგრადის ჯგუფი", რომელიც აერთიანებს უნგრეთს, პოლონეთს, სლოვაკიასა და ჩეხეთს.

**— ურთიერთობა გერმანიასა და რუსეთს შორის შეიძლება გვემსახუროს როგორც ინსტრუმენტი — დავარწმუნოთ მოსკოვი, რომ თბილისის მისწრაფება ევროპული და ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ სულაც არ აყენებს ზიანს რუსეთის ინტერესებს,** — იმედი აქვს საქართველოს ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს ირაკლი მენაღარიშვილს.

საქართველოს მთავრობამ ჯერ კიდევ 2013 წლის ბოლოს მოახდინა თბილისსა და მოსკოვს შორის ურთიერთობაში გერმანელთა დახმარების შესაძლებლობის ზონდირება. ბერლინში ყოფნის დროს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ გამართა მოლაპარაკება ამჯერად უკვე ყოფილ კოლეგასთან გიდო ვესტერველესთან.

2014 წლის ზაფხულის ბოლოს ან შემოდგომის დასაწყისში თბილისს განზრახული აქვს ხელი მოაწეროს ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ შეთანხმების პარაფირებას ლიტვაში.

**— საქართველოსთვის მხარდაჭერა ევროპის მხრიდან ამ პერიოდში საშუალებას მოგვცემს მინიმუმამდე დავიყვანოთ რუსეთიდან მომდინარე რისკები,** — მიაჩნია საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველს საერთაშორისო საკითხებში ივანე მაჭავარიანს.

**ამ დროს გერმანია იყო „ძველი ევროპის" იმ სხვა ქვეყნების რიცხვში, რომლებმაც 2008 წელს ნატოს სამიტზე არ დაუჭირეს მხარი საქართველოსთვის „წევრობაზე მოქმედებათა გეგმის" მინიჭებასთან დაკავშირებით. უკანასკნელ პერიოდში გაჩნდა ცნობები, რომ კანცლერი ანგელა მერკელი ჯერ კიდევ მაშინ არ ენდობოდა ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის უკიდურესად ემოციურ საგარეო პოლიტიკას.**

ИЗВЕСТИЯ

# დედამიწის ზურგზე




### „ევრომაიდანზე" იღებენ კინოს, „ანტიმაიდანზე კი" გამოჩნდა ღობე და კარვები

რეჟისორ მიხაილ ილიენკოს ახალი ფილმისთვის „უკრაინული რევოლუციის შესახებ", მომიტინგეებმა რამდენიმე დუბლი ზედიზედ იმღერეს უკრაინის ჰიმნი და აანთეს ჩირაღდნები. ამ დროს მარინის პარკში იკრიბებიან ხელისუფლების მომხრეები — იქ დადგმულია კარვები და საველე სამზარეულოები. ელოდებიან, რომ აქციაში დაახლოებით 10 ათასი კაცი მიიღებს მონაწილეობას.

### სასამართლომ კამბოჯაში პოლონსკი გაათავისუფლა, ვერ იპოვა საფუძველი რუსეთში მისი ექსტრადაციისთვის



ადვოკატის სიტყვებით, ბიზნესმენი, რომელსაც სამშობლოში ბრალი მაქინაციებში დასდეს, იცხოვრებს ხელმოწერით კამბოჯიდან გაუსვლელობის შესახებ. პოლონსკი 2012 წლის 31 დეკემბრიდან 2013 წლის 3 აპრილამდე იმყოფებოდა კამბოჯის ციხეში ძალადობის ბრალდების მოტივით ადგილობრივი მეზღვაურების წინააღმდეგ. მოგვიანებით იგი გაათავისუფლეს, მაგრამ საქმე არ დაუხურავთ.

### ლავროვი სირიის რევოლუციური და ოპოზიციური ძალების ეროვნული კოალიციის ლიდერს შეხვდა: ლიდერმა „სირიის მეგობართა ჯგუფთან" ერთად კვლავ გამოთქვა სურვილი ასადის წასვლის შესახებ

ერთ დღეს პარიზში ორი შეხვედრა გაიმართა. „სირიის მეგობართა ჯგუფის" თერთმეტი წევრის საგარეო საქმეთა მინისტრებს იმედი ჰქონდათ, დაერწმუნებინათ ოპოზიციის წარმომადგენლები, ეცნობებინათ თავისი მონაწილეობის შესახებ სამშვიდობო კონფერენციაში „ჟენევა-2". მაგრამ ამ მიზნის მიღწევა მათ ვერ შეძლეს.

### ათასობით ადამიანმა მთელ მსოფლიოში მიიღო მონაწილეობა მეცამეტე ყოველწლიურ აქციაში „მეტროში - უშარვლებოდ!"

აქციაში მონაწილეობა ნიუ-იორკიდან სიდნეემდე 60 ქალაქის მცხოვრებლებმა მიიღეს. წელს „უშარვლო" ფლეშმობი პირველად გაიმართა ბრიუსელში. კიევშიც კი, მომიტინგეთა შორის, ვინც მხარს უჭერს ან წინააღმდეგია მოქმედი ხელისუფლებისა, აღმოჩნდნენ ისეთები, რომლებმაც გამონახეს დრო სახუმარო პერფორმანსში მონაწილეობისთვის.



# შარშანდლიდან გადმოყოლილი პრობლემები

ირანის პოლიტიკური საკითხებიდან, რომლებმაც შარშან მსოფლიოს ყურადღება მიიპყრეს, უკრაინის და ირანის საკითხები იყო. ამ ორიდან კი მეტადრე ირანის, ვინაიდან მჭიდროდ იყო დაკავშირებული ახლო აღმოსავლეთში, და არა მარტო იქ, არამედ მთელს მსოფლიოში ომისა და მშვიდობის საქმესთან. უკრაინის მოვლენები რეგიონული ხასიათისა იყო, თუმცა, დიდი გავლენით ევროკავშირ-რუსეთის ურთიერთობებზე.

ირანის საკითხი რა ხანია მოწინავეობს მსოფლიოს სხვა საკითხებთან ერთად. ირანის საკითხი სწორედ ისაა, მრავალი წლის განმავლობაში ძილს რომ უფრთხობს აშშ-ს და მის ევროპელ თუ აზიელ მოკავშირეებს. ირანის საკითხი ერთი წლით, თუნდაც გასულით, არ შემოიფარგლება, მას მრავალწლიანი, ფართო მასშტაბები აქვს.

უკრაინის საკითხი ახალია, თუმცა, როგორც ჩანს, არც ის შემოიფარგლება გასული წლით და გაგრძელებას 2014 წელსაც პოვებს.

ირანისა და უკრაინის საკითხები მეტ-ნაკლებად საქართველოსაც ეხება, ვინაიდან გლობალიზაციამ და ისტორიულმა კავშირებმა თავისთავად განაპირობეს ჩვენი და ამ ქვეყნების ურთიერთობა.

საქართველო-უკრაინის კავშირებმა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სხვა ელფერი შეიძინა. განსაკუთრებული სიმკვეთრე რუსეთთან ურთიერთობების გაუარესებამ გამოიწვია. საქართველო-უკრაინა იდეოლოგიურადაც დაუკავშირდა ერთმანეთს ე.წ. „ფერად-ყვავილოვანი“ რევოლუციების შემდეგ.

იდეოლოგიური დაახლოების ინიციატორები და შემოქმედნი ოკეანის გადაღმელები იყვნენ. თითქმის 10 წელიწადია, ეს ძალები აქტიურად უწყობენ ხელს ორი ქვეყნის ერთმანეთთან დაახლოებას და მათ სერიოზულ დაშორებას ყოფილი საერთო ცენტრიდან. დისტანცირების თვალსაზრისით, საქართველომ ფორა მისცა უკრაინას და რაც კავშირები ჰქონდა რუსეთთან, თითქმის ნულამდე დაიყვანა. უკრაინამ ეს ვერ შეძლო, რიგი ობიექტური, უპირველესად, ეკონომიკური მიზეზების გამო.

საქართველოს ეს პრობლემა არ აღელვებს, რამეთუ ეკონომიკა რა ხანია ბაზრის ვაჭრობის დონეზეა დასული, ხოლო რაც შეეხება ეკონომიკურ კავშირებს რუსეთთან - 20 წელიწადია, ჩამიჩუმი არ შეინიშნება.

საქართველომ ერთი დარტყმით გაწყვიტა კავშირები, რაც უკრაინამ ვერ მოახერხა და ვერ მოახერხა იმიტომ, რომ რუსეთთან მას მჭიდრო ურთიერთობები აქვს აერო-კოსმოსურ დარგში, საავიაციო მშენებლობაში, გემთმშენებლობაში, მანქანათმშენებლობაში და ა.შ.

საქართველოსთვის ნაკლებად მტკივნეული გამოდგა რუსეთთან ეკონომიკური კავშირების გაწყვეტა, ვინაიდან შევარდნაძე-სააკაშვილის ხელისუფლება ამ საქმეში რუსეთს ადანაშაულებდა, ვიდრე საკუთარ თავს. გარდა ამისა, უკრაინასთან შედარებით, საქართველოსთან რუსეთის ეკონომიკური კავშირები მიზერული იყო.

რუსეთთან კავშირების გაწყვეტას პოლიტიკური სარჩულიც ედო — აფხაზეთის ომში რუსეთის მხრიდან აფხაზეთისთვის მხარის დაჭერა. ასე თვლიდა და თვლის საქართველოს იმჟამინდელ-ამჟამინდელი ხელისუფლება. უფრო მეტიც, აფხაზეთის ომში ისინი მოწინააღმდეგად არა აფხაზებს, არამედ რუსეთს მიიჩნევენ.

საქართველოს კავშირებს რუსეთთან წერტილი დაუსვა 2008 წლის ომმა, ტერიტორიების ოკუპაციამ და აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებამ. ისე, როგორც აფხაზეთის ომში, ცხინვალის ომშიც ქართული მხარე რუსეთს ადანაშაულებს.

დამოუკიდებლობის წლებში საქართველო-რუსეთის ურთიერთობების დრამატული მომენტი, თავისთავად განაპირობებს რუსეთთან თითქმის ნულის დონეზე არსებულ კავშირებს, რასაც ვერ ვიტყვით უკრაინაზე. უკრაინა-რუსეთის ურთიერთობები ნაკლებად შეიძლება შეფასდეს დრამატულად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დასავლეთ უკრაინის აშკარა ანტირუსულ განწყობას.

ეკონომიკური კავშირების გაწყვეტის ერთ-ერთ ფაქტორად, საკუთარი ხალხისადმი საქართველოს ხელისუფალთა უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაც შეიძლება ჩაითვალოს. კავშირების გაწყვეტამ თავისთავად გამოიწვია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დადუმება, უმუშევრობა, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუარესება, თუმცა, ნეგატიურ შედეგს ხელისუფლება მედგრად შეხვდა — ისარგებლა რა ხალხის გაუთვითცნობიერებლობით, სამოქალაქო თვითშეგნების უმდაბლესი ხარისხით.

მთავრობას აზრადაც არ მოსვლია ხალხისთვის განემარტა, რას აკეთებს ის, გაუარესებული ყოფის გასაუმჯობესებლად, ან აკეთებს თუ არა რამეს, ან რატომ უნდა განემარტა, როდესაც არავინ ითხოვდა ამას?

ხალხის ქარაფშუტული მიდგომა საკუთარი სოციალური მდგომარეობისადმი გახდა საბაბი შემდეგი სახის განცხადებისა, რაც ხშირად გაისმოდა „ბრძენი“ ქართველი ექსპერტების მხრიდან: **საქართველოს მოსახლეობა არასოდეს გამოვა სოციალური პრობლემების მოგვარებისთვის.** თითქოს, სირცხვილი ყოფილიყოს აუტანელი ცხოვრების პირობების გაპროტესტება. არადა, თუ ვინმე, სადმე გამოდის და მოითხოვს, სწორედ სოციალური პირობის გაუმჯობესებაა.

უკრაინამ ვერ გარისკა რუსეთთან ეკონომიკური კავშირების გაწყვეტა, ვინაიდან მას უდავოდ მოჰყვებოდა მილიონობით ადამიანის უმუშევრობა, სოციალური ბუნტი. უკრაინამ ვერ გარისკა, ვინაიდან მისი ხელისუფლება გაცილებით მაღალი პასუხისმგებლობის მქონე გამოდგა, ვიდრე საქართველოსი.

უკრაინის ხელისუფლებამ ვერც შარშან გარისკა და თავი აარიდა ვილნიუსის დოკუმენტის ხელმოწერას, რომელიც ავტომატურად გამოიწვევდა რუსეთის შეკვეთების შემსრულებელი ქარხნების გაჩერებას.

უკრაინის ხელისუფლებამ თავი შეიკავა ევროპის ასოცირებული წევრობის დოკუმენტის ხელმოწერისგან, რითაც განარისხა აშშ და ევროკავშირი და არა მარტო ისინი, არამედ მათ მიერ ამხედრებული უკრაინული ოპოზიციაც. კიევის ცენტრში დღესაც მიტინგია — გასული წლიდან მოყოლებული.

გაბედავს საქართველოს ხელისუფლება იმას, რაც უკრაინისამ გაუბედა დასავლეთს? მტკიცედ შეიძლება ითქვას — არა! არა იმიტომ, რომ საქართველო რა ხანია დასავლელთა მიერ „დემოკრატიის ნაკრძალად“ არის გამოცხადებული. არა იმიტომ, რომ ისედაც უმუშევარ საქართველოს მეტი უმუშევრობა არ ემუქრება. არა იმიტომ, რომ თუ რამ წარმოება იყო, რა ხანია დუმს და თუ რამ დასანგრევი იყო, დიდი ხანია დაინგრა და გაიძარცვა, ხოლო მანქანა-დანადგარები თეთრებად გაიყიდა უცხოეთში, მეტადრე ჯართად.

არა იმიტომ, რომ საქართველოს მთავრობა დარწმუნებულია — ხალხი „პურის“ მოთხოვნით არ გამოვა. არამედ იმიტომ, რომ საქართველოს მთავრობას უყვარს ევროკავშირ-ამერიკა და მზად არის, მათი ხათრით, ასოცირებული წევრობით, ხანგრძლივად იდგეს გაწევრების რიგში. მთავრობისგან რა მიდის. თავისთვის სარჩო-საბადებელს ის უდავოდ მიიღებს — დასავლელი „პარტნიორებისგან“ კარგი სამსახურისთვის.



თუ რას მიიღებს ხალხი — ძნელი გამოსაცნობი არ არის — თავისუფალი ვაჭრობის სიკეთეებს, ანუ უკონკურენტო ევროპულ საქონელს, რაც ძირშივე ჩაკლავს ადგილობრივ წარმოებას. შეძლებს ასეთ ვითარებაში ქართული ღვინო ან მინერალური წყალი თავის გადარჩენას? შეძლებსო, დამარწმუნებენ. ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი.

ისე, როგორც უკრაინას, საქართველოსაც შარშანდლიდან გადმოჰყვა „ასოცირებული“ ციებ-ცხელება. მთელი წელიწადი არ აგვცდება ამ საკითხის ყოველდღიური შეხსენება. ხელისუფლება ისე მოქმედებს, ვითომ რაღაც პრობლემა აქვს შინ და გარეთ. შინ — ასოცირებით უკმაყოფილო მოსახლეობით, გარეთ — ასოცირებით უკმაყოფილო რუსეთის სახით. არადა, ერთიც და მეორეც ისეა მოდუნებული, თითის განძრევაც ეზარებათ. მოსახლეობას — იმიტომ, რომ არ იცის, რა ხდება მის თავს. არ იცის, რას ნიშნავს ასოცირებული წევრობა. ის დღემდე ვერ გაერკვა, რა არის „პარაფირება“. მთავრობის პროპაგანდის წყალობით ის დარწმუნებულია, „ასოცირება“ კარგ ცხოვრებას მოუტანს - დღევანდელზე ცუდი რაღა უნდა იყოს?

მეტი ქულების ჩაწერის მიზნით, ხელისუფლებას სურს ისეთი შიდა ვითარება დაუხატოს ევროკავშირს, თითქოს სერიოზული წინააღმდეგობის დაძლევა უხდება, მაგრამ წარმატებით ართმევს თავს. განსაკუთრებული პრობლემები აქვს მას მეზობელი რუსეთის მხრიდან, რომელიც დღენიადაგ ზის და ფიქრობს მხოლოდ ერთზე — რით ავნოს საქართველოს ასოცირებულ წევრობას.

ხელისუფლება დაბეჯითებით ხატავს რუსულ შემოტევას და ამ თავდასხმას წინა ხაზზე, ანუ ფრონტზე საკუთარ თავს — ასოცირებისთვის ხმალამოღებული მებრძოლის სახით. როგორ არ უნდა დაეხმარო ასეთს? პატარა საქართველო, მეზობელ ურჩხულთან მეომარი, ნუთუ არ უნდა იმსახურებდეს მეტ დახმარებას, ცხადია ფულით?!

ასოცირებული წევრობის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერამდე არ აგვცდება ე.წ. რუსული საფრთხის სისტემატური მოსმენა, ისე, როგორც პატარძალს პირველი ღამე. მაინც რა ბედნიერებაა, გყავდეს ისეთი მეზობელი, ყველაფერს რომ დააბრალებ. რუსეთს, ცხადია, გულზე არ ეხატება ვინმეს ევროკავშირთან ასოცირება. მაგრამ, ის როგორმე აიტანს ამ „საშინელებას“, ჩვენ?

საქართველოს ხელისუფლებას რატომღაც უკრაინა მიაჩნდა და მიაჩნია ევროკავშირისკენ გზამკვლევად, თუმცა, იანუკოვიჩის გადაწყვეტილებამ — ყველასთვის მოულოდნელმა, თავგზა აუბნია. განსაკუთრებული გაწიწმატება ევროკავშირელ მოხელეებს დაეტყოთ. ხუმრობა ხომ არაა, მრავალწლიანი უკრაინული პროექტის ჩავარდნა. „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ პროექტში მთავარი ვიოლინო უკრაინა იყო — უდიდესი ბაზრით, 45 მილიონი მოსახლით. ევროკავშირის პროდუქციის გასასაღებლად უკრაინული ბაზარი მართლაც მისწრება იყო — მით უმეტეს ამჟამინდელ საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის დროს.

| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. |

| | | |
|---|---|---|
| | | ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდინი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. სამტრედია, ზახტაძის ქუჩა, ჩიხი I, №23-ში მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 7 300 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. სამტრედია, ზახტაძის ქუჩა, ჩიხი I, №23 |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 236 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 23.6 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 247 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 14 იანვარს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 14 თებერვალს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 14 თებერვალს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 14 თებერვალს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 13**

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების დროს არ უნდა მოხდეს მდინარის მარცხენა ნაპირის დამცავი (ყორე) ნაგებობის დაზიანება.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>გ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ხონის მუნიციპალიტეტი, სოფ. ღვედის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ცხენისწყალზე „ღვედის“ (I და II უბანი) ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 16 500 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ხონის მუნიციპალიტეტი, სოფ. ღვედის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 2 682 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 268,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 736 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 14 იანვარს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 14 თებერვალს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 14 თებერვალს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 14 თებერვალს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 2 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 14**

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭალეს მიმდებარე ტერიტორია, მდ. ენგურის ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 26 100 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭალეს მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 4 539 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 453,9 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1 108 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 14 იანვარს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 14 თებერვალს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 14 თებერვალს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 14 თებერვალს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 15**

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნაზხეტაურის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ცხენისწყლის (I და II უბანი) ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 55 800 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | სამტრედიის მუნიციპალიტეტი,<br>სოფ. ნაზხეტაურის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 7 965 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 796,5 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1 793 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 14 იანვარს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 14 თებერვალს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 14 თებერვალს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 14 თებერვალს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 4 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი №16**

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ვანის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზეინდარის მიმდებარე ტერიტორია, მდ. რიონზე „ზეინდარის“ ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 27 300 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ვანის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზეინდარის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 4 438 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 443,8 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1 088 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 14 იანვარს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 14 თებერვალს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 14 თებერვალს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 14 თებერვალს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 2 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

ხელბურთი

# საპლეიოფო ხუთეული გამოვლინდა

**მსოფლიოს ჩემპიონატის კვალიფიკაცია**

**ევროპის I ჯგუფი. VI ტური**
**კარიაა, 11 იანვარი**
**ფინეთი — საქართველო 36:24 (16:10)**

**ფინეთი:** ნორდკვისტი, მიაკელა, ტამინენი (10), რონბერგი (7), სუნდბერგი (5), ბ. ბრომანი (4), ი. ბრომანი (3), რემი (3), კორპიმიაკი (1), კილსტედტი (1), ფორსი (1), ოიალა (1), კოლიონენი, ლაიტინენი, რაერინე.

**საქართველო:** თევზაძე, ტორონჯაძე, მსხვილიძე (9), დათუკაშვილი (4), გვაზავა (4), ჭანტურია (2), გოგალაძე (2), რუსია (1), ტალახაძე (1), აბრამიშვილი (1), მაისურაძე, გამზარდია, სიმონია, ამირანაშვილი, მთავარი მწვრთნელი ჯორჯე რასიჩი.

**მსაჯები:** სიგურდ თომასენი, ტობიას შმაკი (ორივე—ბელგია).

**დელეგატი:** ვიქტორ პოლადენკო (რუსეთი).

სამი მოგება და ამდენივე მარცხი — ასეთი შედეგით დაასრულა საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრებმა მსოფლიოს 2015 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო რაუნდი პირველ ევროპულ ჯგუფში, სადაც ჩვენებთან ერთად ლიტველები, ფინელები და თურქები მონაწილეობდნენ (აქვე შევნიშნავთ, რომ ქართველ ხელბურთელებს მნიშვნელოვან საერთაშორისო ტურნირებში სამი საშინაო მატჩი 1999 წლის შემდეგ არ მოუგიათ). პირველ წრეში ქართველმა ხელბურთელებმა სუომელებს შინ 26:19 აჯობეს. განმეორებითი შეხვედრა გასულ უქმეებზე ფინურ კარიააში გაიმართა. მასპინძლები, ცხადია, რევანშისთვის იბრძოდნენ, ამიტომ პირველი წუთებიდანვე დაწინაურდნენ და ორთაბრძოლაც სასურველ დასასრულამდე მიიყვანეს — 36:24 გაიმარჯვეს, თუმცა ამ წარმატებამ ფინელებს მხოლოდ მესამე ადგილი მოუტანა. მეორეზე გავიდა საქართველოს ნაკრები. პლეი ოფის საგზური ლიტვამ დაიმსახურა, რომელმაც ბოლო უმოტივაციო დაპირისპირებაში თურქები დაჯაბნა — 32:26. საკვალიფიკაციო ეტაპზე ბომბარდირთა დავაში ქართველთაგან გამოირჩა რატი მსხვილიძე, რომელმაც 42 გოლით მესამე ადგილი დაიკავა. მას მხოლოდ ხენ პომერანცმა (ისრაელი, 56) და დრაგან გაიჩმა (სლოვენია, 46) გაუსწრეს.

**I ჯგუფის სატურნირო ცხრილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ლიტვა** | 6 | 4 | 1 | 1 | 145:132 | 9 |
| **საქართველო** | 6 | 3 | 0 | 3 | 149:156 | 6 |
| **ფინეთი** | 6 | 2 | 1 | 3 | 143:139 | 5 |
| **თურქეთი** | 6 | 2 | 0 | 4 | 146:156 | 4 |



აქვე დანარჩენ ევროპულ ჯგუფებში გამართულ დასკვნით შეხვედრათა ანგარიშებსა და პლეი ოფში გასულთა ვინაობას გაუწყებთ:

**II ჯგუფი**

სლოვაკეთი — რუმინეთი 27:25, იტალია — კვიპროსი 34:28

რუმინეთი — 10 (32:24, 25:27), სლოვაკეთი — 10, იტალია — 4, კვიპროსი — 0 ქულა.

**III ჯგუფი**

სლოვენია — უკრაინა 35:23, ლუქსემბურგი — შვეიცარია 23:28

სლოვენია — 10, უკრაინა — 9, შვეიცარია — 5, ლუქსემბურგი — 0 ქულა.

**IV ჯგუფი**

ბელგია — საბერძნეთი 30:30, ჰოლანდია — ისრაელი 34:24

საბერძნეთი — 7, ჰოლანდია — 6, ისრაელი—6, ბელგია —5 ქულა.

**V ჯგუფი**

ესტონეთი — ლატვია 32:30, პორტუგალია — ბოსნია 27:26

ბოსნია— 10, პორტუგალია — 8, ლატვია — 4 , ესტონეთი — 2 ქულა.

*2015 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის პლეი ოფში გავიდნენ: ლიტვა, რუმინეთი, სლოვენია, საბერძნეთი და ბოსნია. ამ ხუთეულს დაემატება გერმანია და 12 გუნდი ამჟამად მიმდინარე ევროპის ჩემპიონატიდან - ისინი, ვინც მსოფლიო ჩემპიონატზე პირდაპირ ვერ გავლენ. წილისყრა 26 იანვარს გაიმართება, სადაც 18 გუნდი დაწყვილდება და ივნისში მსოფლიოს ჩემპიონატის 9 საგზურს გაითამაშებს.*

**ლექსო ცინცაძე**

ჩოგბურთი

# მძიმე ბადე



**თბილისელი ჩოგბურთელი ანა ტატიშვილი ავსტრალიის ღია პირველობაში (საპრიზო ფონდი 33.000.000 დოლარი) საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაება.** ზედიზედ ორი გამარჯვების (შედეგები უკვე გაუწყეთ) შემდეგ მან გადამწყვეტ პაექრობაში იაპონელ რისა ოზეკს აჯობა სამ სეტში — 6:7, 7:5, 6:2, რითაც 50 სარეიტინგო ქულა დაიმსახურა და ძირითად ბადეშიც გავიდა, მაგრამ იქ გუშინ ვერაფერი გააწყო მსოფლიო რეიტინგით 57—ე ადგილზე მყოფ (ანა 126—ეა) პუერტორიკოელ მონიკა პუიგთან და 2:6, 4:6 დამარცხდა.

მელბურნში წყვილთა შორის იასპარეზებს თბილისელი ოქსანა კალაშნიკოვა. უკრაინელ ირინა ბურიაჩოკთან შეამხანაგებული ჩვენებური პირველ წრეში სვეტლანა კუზნეცოვასა (რუსეთი) და სამანტა სტოსურის (ავსტრალია) დუეტს დაუპირისპირდება.

**ლაშა დიდია**

ფეხბურთი

# ევროპის სტადიონებზე



**ინგლისი.** „ნიუკასლი“ — „სიტი“ 0:2, „მანჩესტერი“ — „სუონსი“ 2:0, „სტოკი“ — „ლივერპული“ 3:5, „ტოტენჰემი“ — „კრისტალ პალას 2:0, „ჰალი“ — „ჩელსი“ 0:2.

**იტალია.** „კალიარი“ — „იუვენტუსი“ 1:4, „რომა“ — „ჯენოა“ 4:0, „ვერონა“ — „ნაპოლი“ 0:3, „სასუოლო“ — „მილანი“ 4:3, „ტორინო“ — „ფიორენტინა“ 0:0.

**ესპანეთი.** „ატლეტიკო“ — „ბარსელონა“ 0:0, „ესპანიოლი“ — „რეალი“ 0:1, „ბილბაო“ — „ალმერია“ 6:1, „ელჩე“ — „სევილია“ 1:1, „ლევანტე“ — „მალაგა“ 1:0.

**გიორგი შოთაძე**

კალათბურთი

# შერმადინის და სანიკიძის „სარაგოსამ“ მადრიდში იმარჯვა



**ესპანეთის საკალათბურთო ჩემპიონატში გიორგი შერმადინის და ვიქტორ სანიკიძის „სარაგოსამ“ მადრიდში „ესტუდიანტესს“ 89:62 სძლია, რაშიც ქართველმა კალათბურთელებმა, ტრადიციულად, დიდი წვლილი დაიდეს.**

საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრები ამჯერადაც სასტარტო ხუთეულში იყვნენ, სარგებლიანობის კოეფიციენტის (21) მიხედვით კი საუკეთესო შერმადინი გახლდათ, რომელმაც 25 წუთში 12 ქულა და 11 მოხსნა მიითვალა, რითაც ორმაგი დუბლის ავტორი გახდა.

ქართველმა ცენტრმა 10-დან 4 ორქულიანი და 5-დან 4 საჯარიმო ჩააგდო, აქტივში 1 დაფარებაც ჰქონდა, 2 პერსონალური ფოლი მიიღო, მის წინააღმდეგ კი 6-ჯერ დაჯარიმდნენ.

თავის მხრივ მოედანზე 26 წუთი გაატარა სანიკიძემ, რომლის მონაგარიც 6 ქულა, 9 მოხსნა, 4 პასი, 1 ჩაჭრა და 2 დაფარება იყო. ქართველმა ფორვარდმა 3-დან 1 ორქულიანი, 4-დან 1 სამქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო გამოიყენა, 4-ჯერ დაჯარიმდა, მასზე კი თამაშის წესები 2-ჯერ დაირღვა.

არაგონულმა კლუბმა 7 მარცხის ფონზე მე-8 გამარჯვება იზეიმა და ესპანურ ლიგაში მე-8 ადგილზე გადაინაცვლა. „სარაგოსა“ მომდევნო შეხვედრას 19 იანვარს ისევ სტუმრად ჩაატარებს — ქართველთა კლუბი ბასკურ „ლაბორალ კუტხას“ ესტუმრება.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ინტერნეტიდან

# მოლდოველი ლამაზმანი – სპორტიდან პოდიუმზე

**მოლდოველი მოდელი ფელიცია ლუპესკუ თავის სამშობლოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და ცნობილი ლამაზმანია. ფელიციას სამოდელო წრეებში ევროპაშიც იცნობენ და მილანის „ფეშენ ვიკზე“ შარშანწინ პრიზიც კი დაუმსახურებია გრაციოზულობისათვის.**

თუმცა, მოლდოვის გარდა ევროპაში ალბათ ძალიან ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ ფელიცია პროფესიონალი სიგრძეზე მხტომელი იყო და მასზე მოლდოვური სპორტის ქომაგები გარკვეულ იმედებსაც კი ამყარებდნენ, მაგრამ ლუპესკუმ ბევრი ფიქრის შემდეგ თავისი არჩევანი მოდელობაზე შეაჩერა და როგორც თავად ამბობს ამ გადაწყვეტილებას არ ნანობს.

ფელიციას თქმით, მის სამშობლოში სპორტსმენებს არ აქვთ პირობები, რომ სიგრძეზე მხტომელმა სპორტსმენმა ქალმა თავისი წვალებითა და ოფლისღვრით ფული იშოვოს, მოდელობა კი სარფიანი საქმეა. თუმცა ფელიცია იმასაც ამბობს, რომ სპორტის ეს სახეობა ძალიან უყვარს და მოლდოველ სპორტსმენებს ყოველთვის უგულშემატკივრებს.

**როსტომ რაჭველიშვილი**



სავალალო სტატისტიკა

# ტრაგედია დაკარზე

**დაკარის რბოლაზე ტრაგედია მოხდა. მეხუთე ეტაპის 143-ე კილომეტრზე 50 წლის ბელგიელი ერიკ პალანტე დაიღუპა. რბოლის ორგანიზატორებმა არ იციან დაკარის ვეტერანის დაღუპვის მიზეზი. ცნობილია, რომ პალანტე, ვინც ხუთი შვილის მამაა, მე-11 დაკარზე ასპარეზობდა. ის 27-ე მრბოლია, ვინც დაკარის ისტორიაში ამ რალი — მარათონზე დაღუპულა.**



დაკარის მსხვერპლთა რიცხვი ამით არ შემოიფარგლება. სამწუხაროდ, მიმდინარე რბოლისას ასევე ორი ფოტორეპორტიორი და ერთი მაყურებელია დაღუპული. სამივე მათგანი რბოლის მარშრუტზე გადაადგილებისას დაიღუპა. ამასთან, რეპორტიორების მანქანა ხრამში 100 მეტრის სიღრმეში გადავარდა, მაყურებელი კი, რომელიც 70 წლის იყო, გულის შეტევით დაიღუპა. ის მოტოციკლით გადაადგილდებოდა, როცა შეტევა მოუვიდა.

დაღუპული რეპორტიორები დანიელ დი ამბროზიო და აგუსტინ მინა არიან. ისინი 47 და 19 წლისანი იყვნენ. აღსანიშნავია, რომ მათ მანქანაში კიდევ ორი ფოტორეპორტიორი იმყოფებოდა, მაგრამ ისინი გადარჩნენ და მაშინვე ჰოსპიტალში გადაიყვანეს. ბედად, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. წინ მსხდომნი კი ადგილზევე დაღუპულან. ამგვარად, დაკარის რბოლისას დაღუპული ადამიანების საერთო რიცხვი 62-მდე გაიზარდა. რბოლის მონაწილეების გარდა, დაკარმა ჟურნალისტების, მაყურებლების და ორგანიზატორების სიცოცხლეებიც იმსხვერპლა. მათ შორისაა დაკარის რბოლის სულისჩამდგმელი ტიერი საბინი.

**მანუჩარ გიორგაძე**

სანთელი

# რევაზ ბანცურის ხსოვნას

**ქართულმა** მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **რევაზ ბანცური**.



იგი დაიბადა 1936 წლის 10 ივნისს დუშეთის რაიონის სოფ. ბანცურთკარში. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1960 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტში სხვადასხვა თანამდებობაზე, 1983 წლიდან იყო ინსტიტუტის დრეკადობის მათემატიკური თეორიის განყოფილების გამგე. 1982 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მექანიკის პრობლემათა ინსტიტუტში. 1997 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. არჩეული იყო თეორიულ და გამოყენებით მექანიკაში რუსეთის ნაციონალური კომიტეტის წევრად.

რ. ბანცური ქართული მათემატიკური და მექანიკის სკოლის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი, აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის იდეების ღირსეული გამგრძელებელია. მისი შრომები ეძღვნება დრეკადობის ბრტყელი თეორიის სასაზღვრო და საკონტაქტო ამოცანებს, ანალიზურ ფუნქციათა თეორიის შერეულ სასაზღვრო ამოცანებს, დრეკადობის თეორიის ნაწილობრივ უცნობსაზღვრიან ამოცანებს, ნახვევის ტიპის ინტეგრალურ და უსასრულო ალგებრულ განტოლებათა სისტემებს. მან არსებითად განავითარა ნ. მუსხელიშვილის თემატიკა და ახალი მიმართულებებით მნიშვნელოვნად გააფართოვა დრეკადობის ბრტყელ თეორიაში ანალიზურ ფუნქციათა თეორიის მეთოდების გამოყენების სფერო.

რ. ბანცურმა ინტეგრალური გარდაქმნების გამოყენებით ზოგიერთი კლასის საკონტაქტო ამოცანა დაიყვანა ანალიზურ ფუნქციათა თეორიის ახალი ტიპის გადაადგილებიან სასაზღვრო ამოცანაზე, რომელსაც მან უწოდა კარლემანის ტიპის ამოცანები ზოლისათვის. მან დაამუშავა ახალი ტიპის ფაქტორიზაციის მეთოდი და ამოხსნა კარლემანის ტიპის ამოცანა საკმაოდ ზოგად შემთხვევაში. აღნიშნულ მეთოდს ზემოთ ხსენებული ამოცანებისათვის იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ორმოციან წლებში შესწავლილ საკონტაქტო ამოცანებისათვის დამუშავებულ ნ. მუსხელიშვილის მეთოდს. ამიტომ ეს მეთოდი ცნობილია კანონიკურ ამონახსნთა რ. ბანცურის მეთოდის სახელწოდებით და ამჟამად წარმოადგენს ერთადერთ ზოგად მეთოდს, რომელიც იძლევა ხსენებული საკონტაქტო ამოცანების ეფექტური ამოხსნის საშუალებას.

მანვე, ნაწილობრივ უცნობსაზღვრიანი ამოცანების ზოგიერთი კლასისათვის დაამუშავა ფაქტორიზაციის მეორე მეთოდი, რომლის გამოყენებითაც მოგვცა ამ კლასის ამოცანების ამოხსნადობის დასრულებული თეორია.

რ. ბანცურის მიერ მიღებული შედეგებიდან სპეციალისტების მიერ ერთ-ერთ საუკეთესოდ აღიარებულია ძაბვათა კონცენტრაციის საკითხის შესწავლა ბზარის ბოლოებში. მან მიიღო უაღრესად მნიშვნელოვანი შედეგი რღვევის მექანიკაში, რამაც დიდი პრაქტიკული გამოყენება ჰპოვა მანქანათმშენებლობაში, გემთმშენებლობასა და საავიაციო კონსტრუქციების დაპროექტებაში.

რ. ბანცურმა ააგო ინტეგრალური წარმოდგენები კარლემანის ტიპის ამოცანებისათვის, რომლებიც იგივე როლს ასრულებენ, რასაც ცნობილი კოშის ინტეგრალები წრფივი შეუღლების ამოცანებისათვის.

დიდია ბატონი რეზოს დამსახურება ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადების საქმეში. წლების განმავლობაში მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თეორიული მექანიკის კათედრაზე, კითხულობდა დრეკადობის თეორიის კურსს და აღზარდა მრავალი მეცნიერებათა კანდიდატი და დოქტორი.

წავიდა ჩვენგან დიდი მკვლევარი, შესანიშნავი მოქალაქე, ჭეშმარიტი მამულიშვილი, უაღრესად დახვეწილი, თავმდაბალი, მოკრძალებული პიროვნება. მან ბევრი რამ გააკეთა მეცნიერებაში, მაგრამ განუხორციელებელი დარჩა მრავალი აზრი და იდეა. იმედი ვიქონიოთ, რომ მისი მეცნიერული იდეები კვლავაც იცოცხლებს და გაგრძელდება ქართული მეცნიერების საკეთილდღეოდ.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს შესანიშნავი მეცნიერის და ძვირფასი კოლეგის რევაზ ბანცურის გარდაცვალების გამო. მისი ნათელი სახე მუდამ დარჩება ჩვენს მეხსიერებაში.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

**რევაზ ბანცური**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

**ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მათემატიკოსი, ინსტიტუტის დრეკადობის მათემატიკური თეორიის განყოფილების გამგე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

**რევაზ ბანცური**

**და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77;
599 32-85-76.

ჩვენი კარაბადინი

# ნუ გახდებით წლების ტყვე!

**ხანდაზმული ასაკი ბევრისთვის გარდაუვალ დაავადებებთან ასოცირდება. რასაკვირველია, წლების განმავლობაში ჯანმრთელობა არ მყარდება, მაგრამ თუ მიზნობრივ პროფილაქტიკას გავადევნებთ თვალს, ასაკობრივი დაავადებები შეიძლება თავიდან ავიცილოთ.**

**ყოველ ორგანიზმს თავისი აქილევსის ქუსლი აქვს. ერთისთვის ეს არის გული, მეორისთვის — ღვიძლი, მესამესთვის — თირკმლები. მაგრამ ხანდაზმული ადამიანებისთვის არის საერთო სენები, რომლებსაც შეიძლება გავუსწორდეთ და უნდა გავუსწორდეთ კიდეც.**

## ათეროსკლეროზი

სენი ჩნდება, როდესაც სისხლძარღვები იკეტება ქოლესტერინის ბალთებით. ყველაზე სახიფათოა ათეროსკლეროზის შედეგები — მიოკარდიუმის ინფარქტი, გულის იშემიური დაავადება, ინსულტი.

**რისკის ფაქტორები.** სისხლის მაღალი წნევა, ზედმეტი წონა, მავნე ჩვევები, აგრეთვე სუსტი თირკმლები და დიაბეტი.

**ადრეული სიმპტომები.** ცივი კიდურები, ტკივილები გულსა და მუცელში, მეხსიერების დაქვეითება, ყურადღების ცუდი კონცენტრაცია, გაზრდილი გაღიზიანება და დაღლილობა.



**დიაგნოსტიკა.** უწინარეს ყოვლისა, საჭიროა თერაპევტის შემოწმება. ის გაგვიზომავს არტერიულ წნევას და მოგვცემს დავალებას სისხლის ანალიზზე, ელექტროკარდიოგრამაზე და სხვა გამოკვლევებზე. იმისდა მიხედვით, თუ რომელი ორგანოა დაზიანებული ათეროსკლეროზით, პაციენტს აგზავნიან კარდიოლოგთან, ფლებოლოგთან, ნევროლოგთან ან გასტროენტეროლოგთან.

**პროფილაქტიკა.** ათეროსკლეროზის განვითარება რომ თავიდან ავიცილოთ, აუცილებელია რეგულარულად ვაკონტროლოთ წნევა და სისხლში ქოლესტერინის დონე, უარი ვთქვათ მოწევაზე, დავიკლოთ წონაში ნორმამდე, მივსდიოთ ცხოვრების უფრო აქტიურ წესს (თუნდაც მეტი ვიაროთ ფეხით). მინიმუმამდე დავიყვანოთ ცხიმიანი საკვების მიღება, გამოვიყენოთ სისხლძარღვებისთვის სასარგებლო ზეითუნის ზეთი, მივიღოთ მეტი ხილი და ბოსტნეული. დისციპლინურად მივიღოთ ექიმის მიერ დანიშნული წამლები.

## ჰიპერტონია

**გაზრდილი** არტერიული წნევა, რომელიც 65 წელზე მეტი ასაკის 60-ზე მეტ პროცენტს აწუხებს, არის სასხლეტი კაუჭი ბევრი ისეთი სახიფათო დაავადებისთვის, როგორებიცაა ინსულტი, ინფარქტი, ართროზი, თრომბოპლებიტი, გლაუკომა, ასაკობრივი მაკულოდისტროფია და ა.შ.

**რისკის ფაქტორები.** ზედმეტი წონა, მოწევა, სპირტიანი სასმელების ბოროტად გამოყენება, სტრესები, მიდრეკილება მარილიანი საჭმელებისკენ.

**ადრეული სიმპტომები.** სისუსტე, თავის ტკივილი (ჩვეულებრივად დილაობით კეფის მიდამოებში), შუილი ყურებში, თავბრუსხვევა, გულისრევა, სისხლის დენა ცხვირიდან, უძილობა, ბურანი თვალებში. მაგრამ ზოგჯერ სიმპტომები არაა.

**დიაგნოსტიკა.** დიაგნოზი უნდა ემყარებოდეს წნევის მრავალჯერ გაზომვის შედეგებს (არანაკლებ 5-ისა დღეში, მათ შორის ღამითაც და უმალვე გაღვიძების შემდეგ) სხვადასხვა დღეებში. წნევის უმნიშვნელო აწევის დროს მისი გაზომვა უნდა ხდებოდეს რამდენიმე თვის განმავლობაში.

**პროფილაქტიკა.** აუცილებელია წნევის ყოველდღიური კონტროლი, უარი ვთქვათ მოწევაზე, გავხდეთ ნორმამდე, ვიმოძრაოთ მეტი. გამოვრიცხოთ მლაშე საკვები, ვჭამოთ მეტი ისეთი პროდუქტი, რომელიც მდიდარია კალციუმითა და მაგნიუმით (ბანანი, ჭერმის ჩირი, მოცხარი, ქამა სოკო, ზღვის კომბოსტო, წიწიბურა, ნუში). მუდმივად უნდა ვსვათ (და არა დრო და დრო) ექიმის მიერ გამოწერილი წამლები.

## ოსტეოპოროზი

**ძვლების** ქსოვილის გამოფიტვა და ძვლების გაზრდილი მტვრევადობა. სენს არა მხოლოდ ინვალიდობასთან მივყავართ, არამედ მესამე ადგილზეა სიკვდილის მიზეზთა შორის (გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისა და ონკოლოგიის შემდეგ).

**რისკის ფაქტორები.** არასწორი კვება, ალკოჰოლის ბოროტად გამოყენება, ჰიპოდინამია, გლუკოკორტიკოსტეროიდებით ხანგრძლივი მკურნალობა.

**ადრეული სიმპტომები**. ყრუ ტკივილები ზურგში, ღამით კუნთების კრუნჩხვები, მყიფე ფრჩხილები, გახშირებული გულისცემა. უფრო გამოხატული სიმპტომები: წელში მოხრილობა, ძვლების ხშირი მოტეხილობა სერიოზული ტრავმების გარეშე.

**დიაგნოსტიკა.** ძვლების სიმკვრივის საკმაოდ მარტივი და უსაფრთხო სარენტგენო გამოკვლევა-დენსიტომეტრია.

**პროფილაქტიკა.** იმოძრავეთ მეტი, ნუ მოსწევთ, ნუ გამოიყენებთ ბოროტად ყავას, ალკოჰოლს, გაზიან სასმელებს. დროულად უნდა ვუმკურნალოთ კუჭისა და ნაწლავების დაავადებებს. გინეკოლოგთან უნდა გადავწყვიტოთ კლიმაქსის დროს ჰორმონალური თერაპიის პრეპარატების მიღების საკითხი — ისინი დაგვეხმარება დავამუხრუჭოთ ძვლებიდან კალციუმის გამორეცხვა. მიიღეთ კალციუმის შემცველი პრეპარატები (ვიტამინ D-სთან ერთად, რომელიც ეხმარება კალციუმს ათვისებაში).

ხსოვნა

## რუსუდან კიკალეიშვილი-ცირდავა

შენმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ თავზარი დასცა სამეგრელოს ულამაზეს სოფელ მუხურს.

ძალიან მიჭირს შენზე წარსულში ლაპარაკი, მწარეა აწმყო უშენოდ. იყო და არა იყო რა, რა ცუდი დასასრული ჰქონია შენს სიცოცხლეს. მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა შენი გარდაცვალება, ყველას უყვარდი დიდსა და პატარას, მთელ სოფელს. ჩემთვის მუხური უშენოდ დაცარიელდა.

ბრძენს უთქვამს, უნდა დაიწვა, რომ გაანათო, შენ მართლაც იწვოდი და ანათებდი. უშენობა გაუჭირდება შენს მეუღლეს, არაჩვეულებრივ ადამიანს მურმანს, შვილებს, შვილიშვილებს.

მაგრამ სიცოცხლე გაგრძელდება ჩუმი ცრემლებით, ჩუმი დარდით, ჩუმი მონატრებით.

ღმერთმა აცხონოს შენი ლამაზი სული და სასუფეველი დაუმკვიდროს.

სიყვარულით —
**ნაირა ქურხული**

**მეუღლე ლია აბაშიძე, შვილები მამუკა, ქეთევან ასათიანები, და მარინე (როზეტა) ასათიანი, დისწულები გელა, ნანა ადეიშვილები ოჯახებით, შვილიშვილები შალვა, თამარ ასათიანები, ლიკა, ვახტანგ შენგელიები, ზუკა ძამუნაშვილი, შვილთაშვილები ელენე, გური, ზაალი, იოსები, მამუკა, კახა, ქეთევანი, ტატიანა, რძალი ლეილა ასათიანი, ძმისწულები ხათუნა, პაპუნა, ედიშერ, დარეჯან ასათიანები ოჯახებით, დისწულები მერაბ, ზეინაბ გაბიძაშვილები ოჯახებით, მძახალი მამული ალადაშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**გივი შალვას ძე ასათიანი**

**პანაშვიდი 14, 15 I, 17 სთ. დაკრძალვა 16 I, 14 სთ. მისამართი გაგარინის I ჩიხი, სახლი №2.**

ინფორმაცია

## თბილისში წუხელ ახალგაზრდა დაჭრეს

**თბილისში**, დოლიძის ქუჩაზე წუხელ ახალგაზრდა დაჭრეს. როგორც „ინტერპრესნიუსს" საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, საქმე 118-ე მუხლით აღიძრა, რაც ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

გავრცელებული ინფორმაციით, გასროლა ურთიერთშელაპარაკებას მოჰყვა, რის შედეგადაც 19 წლის ახალგაზრდა ფეხში მსუბუქად დაიჭრა.

დაშავებული სასწრაფო სამედიცინო ჯგუფმა საავადმყოფოში გადაიყვანა.

დღესასწაული

# ბასილი დიდი

**14 იანვარს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ახალი წლის პირველ დღეს ზეიმობს. დღეს წინადაცვეთაა იესო ქრისტესი და ხსენებაა ბასილი დიდისა.**

...ბასილი დიდი კეთილმსახურებით გამორჩეულ ოჯახში დაიბადა, მისი ბებია, დედა და და-ძმა წმინდანთა დასში ირიცხებიან. ის იბრძოდა მართლმადიდებლობის დასაცავად.

ბასილი დიდმა ჩამოაყალიბა სამოციქულო ეკლესიაში ლიტურგიის წესი, რომელიც მისი სახელით არის ცნობილი. ეს წირვა (ლიტურგია) დიდმარხვაში, კვირაობით და ზოგიერთ სხვა დღეს აღესრულება. სწორედ 14 იანვარსაც მისი სახელობის წირვაა. მის მიერვე არის შედგენილი ლოცვა, რომელიც სულთმოფენობის წირვის ბოლოს მუხლმოდრეკით იკითხება!

ცნობილია ბასილი დიდის მრავალი თხზულება. ის საქართველოში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მისი წარმოშობა საქართველოს უკავშირდება.

* * *

ბასილი დიდის თაყვანის საცემად საქართველოში 14 იანვრისთვის აკეთებენ ჩიჩილაკს (ტრადიციულად თხილისგან კეთდება და ნაყოფიერების და სიუხვის ქართული სიმბოლოა), რომელსაც მოფერებით „ბასილის წვერებს“ უწოდებენ.

მთელი წლის ბედნიერად წარმართვას თურმე ბასილი დიდს ევედრებოდნენ.

ძველად საქართველოში შობა-ახალი წლის ზეიმი დიდხანს გრძელდებოდა და მას აღმოსავლეთში „წელშუის კვირა“ ეწოდებოდა, თუშეთში – „წელწადშუ“, „სვანეთში – „ზომხა“, გურიაში – „კალანდა“, სამეგრელოში – „ახალწანა“ და „კალანდია“.

**P. S. ახალი წელი ძველი წესისამებრ გვინდა მოგილოცოთ: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი! – ფეხი ჩემი – კვალი ანგელოზისა“.**

* * *

იესო ქრისტეს შობიდან მერვე



დღეს, მოსეს სჯულის მიხედვით, ღვთიურ ყრმაზე წინადაცვეთის წესი აღასრულეს: „უფალი ყოველთა და მეუფე წინადაცვეთასა თავს იდებს და კაცთა ცთომასა, ვითარცა სახიერი განკვეთს და მისცემს მაცხოვრებასა დღეს სოფელსა, დიდება მოწყალებასა შენსა, მხოლოო კაცთმოყვარეო“.

**გიული ლიპარტია**

ინფორმაცია

# თბილისის ზოოპარკში ზებრა დაიბადა

**ამის შესახებ ინფორმაციას თბილისის ზოოპარკი ავრცელებს. მათი ინფორმაციით, პატარა და დედა თავს კარგად გრძნობენ. ახალდაბადებული ზებრა და მისი დედა მთელი დღე გარეთ არიან და დამთვალიერებლებს მათი ნახვა დღის განმავლობაში, ნებისმიერ დროს შეუძლიათ.**

ზოოპარკის თანამშრომლებმა ახალდაბადებული ზებრის სქესი ჯერჯერობით არ იციან, რადგან დედა მათ პატარა ზებრასთან ახლოს არ უშვებს.



ბურჩელის ზებრებს თავიდანვე გამოკვეთილი ხაზები არ გააჩნიათ, აბურძგნული პრიალა და მოყავისფრო ბეწვი აქვთ. დაახლოებით 10 წუთში ფეხზე დგებიან, ერთ კვირაში დედას უკან მიჰყვებიან და ბალახს ჭამენ. თუმცა, 16 თვემდე რძესაც მიირთმევენ.

ბურჩელის ზებრები ადვილი გასარჩევები არიან ზებრის სხვა სახეობებისგან, მათი შავი ხაზები უფრო ფართოა. ზებრებს შორის ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში სწორედ ბურჩელის ზებრის პოპულაციაა, აფრიკის მოსახლეობის ზრდამ და ცხოველებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ბალახოვანი მინდვრებისა და სავანას განადგურებამ, შეიძლება კრიტიკულ მდგომარეობამდე მიიყვანოს ეს სახეობა.

**ინტერპრესი**

ჩვენი პრესდაიჯესტი

## ჟურნალ—ი გაზეთებიდან



### „სანდრა რულოვსის მამა მიშიკოს დახმარებით მილიარდერი გახდა“

– ამბობს აფხაზეთის მთავრობის განათლებისა და კულტურის მინისტრი დიმა ჯაიანი, – სანდრა რულოვსი აცხადებს, რომ მომავალი პრემიერის მეუღლედ მოგვევლინოს?! დამთავრდა სანდრა რულოვსი, ბატონებო! დამთავრდა სააკაშვილი!.. სააკაშვილი, ეს უბედური როგორ წარმოგიდგენიათ პრემიერად?! რომელ ჭკუათმყოფელს წარმოუდგენია, რომ ქართველი ხალხი იმ 9-წლიანი კოშმარის შემდეგ ისევ „ნაცმოძრაობას“ მოიყვანს ხელისუფლებაში?! მაგათ ურჩევნიათ ის მოპარული მილიარდები დაუბრუნონ ხალხს! სანდრა რულოვსის მამა მიშიკოს დახმარებით მილიარდერი გახდა! დიახ, ჩემი ნაცნობი ჩამოვიდა ჰოლანდიიდან და იმან მითხრა, როგორ იყიდეს რულოვსებმა უზარმაზარი შუა საუკუნეების სასახლე! არადა, სანდრას მამა ერთი ჩვეულებრივი გლეხი იყო და თავისი დროგით ნაკელი დაჰქონდა აქეთ-იქით!

**„ასავალ-დასავალი“**

### „ნაციონალებმა“ სიტუაციის დაძაბვის მიზნით ყველა ბერკეტი აამოქმედეს

ამის დასტური იყო გასულ კვირას პატრიარქის საშობაო ეპისტოლე და სუროგატული დედების თემაზე დაზარალებული ე. წ. ლიბერალური ფრთა, რომელთაც უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები საერთაშორისო ფონდის სახელით აფინანსებენ და აძლიერებენ საქართველოში ანტიმართლმადიდებლურ მოძრაობას, რადგან დღეს საქართველოში ყველაზე მაღალი ავტორიტეტით სარგებლობს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. საპატრიარქოზე იერიშის მიტანა დღეს არ დაწყებულა. „ნაციონალური მოძრაობა“ ამას პერმანენტულად აკეთებდა და სათავეში გიგა ბოკერია ედგა.

**„ქრონიკა“**

### „ღარიბაშვილს, როგორც ჩანს, არც ისეთი განათლებული და აკადემიური სამეგობრო ჰყავს“

– მიაჩნია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერს კახა კუკავას, – საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარება კრიტიკას ვეღარ უძლებს. პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობაში თავისი გაუნათლებელი ძმაკაცები მოიყვანა. განსაკუთრებით აღსანიშნავია პროკურატურაში არსებული მდგომარეობა. მას, როგორც ჩანს, არც ისეთი განათლებული და აკადემიური სამეგობრო ჰყავს. მსგავსი ვითარება, რაც დღეს არსებობს, უნდა დასრულდეს და ხელისუფლების კონტროლის პროცესში პოლიტიკური სექტორი უნდა ჩაერთოს“.

**„რეზონანსი“**

### გია ბარამიძის წინააღმდეგ პროკურატურაში კიდევ ერთი სარჩელი შედის

გია ბარამიძეს პროკურატურაში რომ მოუწევს მისვლა, ამაში, ეჭვი არავის ეპარება. დეპუტატი, თავის მხრივ, მზადაა, იმუნიტეტი მოიხსნას და გამოძიებას ჩვენება მისცეს.

ცნობილი გახდა, რომ მალე ბარამიძეს პროკურატურაში გენერალ გია ვაშაკიძის ბრალდების საფუძველზე დაიბარებენ. გენერალი ვაშაკიძე გია ბარამიძეს წამებასა და თავისუფლების უკანონო აღკვეთას სდებს ბრალად.

**„ახალი თაობა“**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

ციცხალი ანეკდოტები

– ძვირფასო, შენ რა, ეჭვიანობ? – ეკითხება ცოლი ქმარს.

– არა, შენი დედაც!.. მშურს, რომ კაცები შენ გწერენ მესიჯებს და არა მე!

* * *

– მითხარით, ექიმო, გახდომისთვის რომელი სავარჯიშოებია ყველაზე უკეთესი? – ეკითხება პროფესორს პუტკუნა ქალი.

– მე თავის მარჯვნივ და მარცხნივ შეტრიალებას გირჩევთ, – უპასუხებს იგი.



– დღეში რამდენჯერ?

– იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭმელს შემოგთავაზებენ.

* * *

ქალმა მკვეთრად დაამუხრუჭა ავტოსკოლის წინ, რა დროსაც რამდენიმე მანქანა დააზიანა და დირექტორს ულტიმატუმით მიმართა:

– სასწრაფოდ მომეცით სხვა ინსტრუქტორი. იმ უნიათოს, რომელიც მოგიყვანეთ, ინფარქტი დაემართა.

* * *

– აბრამ, როგორია სარა საწოლში?

– ნორმალური, ეტყვა.

კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24